პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 294 (5095) | პარასკევი, 24 დეკემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა უკრაინის XX წლისთავს! გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხთა მეგობრობის ზეიმი

სტალინური კონსტიტუციის ბრწყინვალე ტრიუმფის დროს დღესასწაულობს ქართველი ხალხი თავისი გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილების „ვეფხის-ტყაოსნის“ 750 წლისთავს. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობასა და ძმობას, ლენინ-სტალინის ძლევამოსილი პარტიის ნაციონალურ პოლიტიკას რომ არა აქვს მსოფლიოში პრეცედენტი, ამისი დამამტკიცებელია მზადება შოთა რუსთაველის იუბილესათვის, რომელიც გადაიქცა არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა უდიდეს ზეიმად. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო იმ ბრძნული პოლიტიკის შედეგად, რასაც ასე ძლევამოსილად ატარებს ჩვენს დიად ქვეყანაში ლენინ-სტალინის პარტია, მისი გენიალური მესაჭე დიდი სტალინი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი უმრავლესობისათვის ახლო წარსულში შოთა რუსთაველის სახელი და მისი გენიალური „ვეფხის-ტყაოსანი“ თითქმის უცნობი იყო. მაგრამ სტალინური მეგობრობისა და ძმობის გამარჯვებამ, ნაციონალურ კულტურათა აღორძინებისა და აყვავების სტალინურმა ეპოქამ შექმნა იმის უძლავრესი შესაძლებლობა, რომ ქართველი ხალხის საამაყო და სასიქადულო პოეტის ეს გენიალური ნაწარმოები მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა კუთვნილებად გადაქცეულიყო.

დიაღ, მხოლოდ სტალინური ეპოქის პირობებში, მთელი ხალხის შემოქმედებისა და კულტურული წინსვლის პირობებში გახდა შესაძლებელი „ვეფხის-ტყაოსნის“ დიდებული ავტორის ასე დაფასება. „მხოლოდ დაურღვეველი სტალინური მეგობრობის პირობებში გახდა შესაძლებელი სსრ კავშირის ხალხთა ის მჭიდრო კულტურული ურთიერთობა, როდესაც ცალკეულ ხალხთა კულტურის უდიდესი ძეგლები მთელი საბჭოთა ხალხის კუთვნილებად ხდებიან, როდესაც უკვდავი რუსთაველის 750 წლისთავის აღსანიშნავად თანაბარი სიყვარულით ემზადებიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში“ (ლ. ბერია).

შოთა რუსთაველის იუბილესათვის მზადებამ მოლოდინს გადააჭარბა. არ დარჩენილა საბჭოთა კავშირის არცერთი რესპუბლიკა, სადაც შოთა რუსთაველის სახელი არ გაისმოდეს, როგორც საყვარელი, ახლობელი პოეტის სახელი. „ვეფხის-ტყაოსანი“ უკვე ითარგმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე, იგი ითარგმნა იმ ხალხთა ენებზეც, რომელთა კულტურის განვითარება ოქტომბრის რევოლუციის დღიდან იწყება. იგი ითარგმნა ჩუვაშურ, ყაზახურ ენებზე, იგი ითარგმნა მაღალმხატვრული ოსტატობით რუსულად, უკრაინულად, ბელორუსულად, სომხურად და სხვ. „ვეფხის-ტყაოსნის“ შესწავლას ხელი მოჰკიდეს ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში, მას კითხულობენ და ეცნობიან ჩვენი ქვეყნის უფართოესი მასები.

„ვეფხის-ტყაოსნით“ აღფრთოვანებულნი და მოჯადოებულნი რჩებიან მუშები და გლეხები, საბჭოთა კავშირის გმირები, მწერლები, აქტიორები, მეცნიერები, საბჭოთა ახალგაზრდობა. ამის დამამტკიცებელია ის გამოძახილი, რომელიც უკვე ჰპოვა „ვეფხის-ტყაოსანმა“. საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ჩკალოვის აზრით, რუსთაველმა „გაამდიდრა კაცობრიობა უკვდავი ნაწარმოებით“. სსრ კავშირის სახალხო არტისტის პროფ. ალექსანდროვის აზრით, „რუსთაველის გაბედული აზროვნება, მისი მაღალი ჰუმანიზმი ბევრად უფრო მაღლა აყენებს მას საშუალო საუკუნეებზე და გამოჰყავს იგი აღორძინების ეპოქის პოეტების რიგში“. „რა ბედნიერია ის ხალხი, რომელმაც კაცობრიობას მისცა ასეთი პოეტი“,—აცხადებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი გოგოლევა. მწერალ ვ. ვიშნევსკის განცხადებით, „ჩვეულებრივი გახდა ცალკე აფორიზმებისა და გამოთქმების მოყვანა რუსთაველის შესანიშნავი ნაწარმოებიდან“.

„ვეფხის-ტყაოსანმა“ უკვე მოიპოვა საპატიო ადგილი ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხთა ლიტერატურებში. სწორედ ამიტომ ემზადებიან დიდი სახალხო ზეიმისათვის არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ხალხები.

საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან საქართველოს დედაქალაქში იკრიბებიან საბჭოთა ერების საუკეთესო წარმომადგენლები, რომ მონაწილეობა მიიღონ გენიალური პოეტის დიად დღესასწაულში, რომ მონაწილეობა მიიღონ მწერალთა კავშირის პლენუმზე, რომელიც რუსთაველისადმია მიძღვნილი. გუშინ თბილისში ჩამოვიდა მრავალრიცხოვანი დელეგაცია, რომელშიც შედიან გამოჩენილი მწერლები: ა. სერაფიმოვიჩი, დემიან ბედნი, ვ. სტავსკი, გ. ლახუტი, ა. ნოვიკოვ-პრიბოი, მ. შაგინიანი, ა. ფადეევი, ლ. სეიფულინა, ნ. ასეევი, ი. კუპალა და სხვები.

რუსთაველისადმი მიძღვნილი მწერალთა პლენუმი უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა. ასეთი პლენუმის მოწვევა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია შესაძლებელი, სადაც მწერლობა გაერთიანებულია დიადი სტალინური მეგობრობის იდეით, ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობით.

ის ფაქტი, რომ შვიდ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართველი ხალხი პირველად მხოლოდ ახლა, საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად, აწყობს გენიალური პოეტის იუბილეს, მოწმობს, რომ ეს არის ნაყოფი იმ დიდი ისტორიული გამარჯვებისა, რომელიც მოუპოვა ჩვენს ხალხს ლენინ-სტალინის პარტიამ, სოციალიზმის გამარჯვებამ.

განა ქართველ ხალხს არ უყვარდა წარსულში თავისი გენიალური პოეტი? ან არ იცოდა „ვეფხის-ტყაოსნის“ ღირსება? მაგრამ მისი ისეთი დაფასება, როგორიც ახლა ხვდა წილად შოთა რუსთაველს, შეუძლებელი იყო იმ გარემოცვაში, როცა ამ უკვდავი პოემის წინააღმდეგ გააფთრებით იბრძოდნენ ურიცხვი მტრები. ქართველი ხალხისათვის „ვეფხის-ტყაოსანი“ მუდამ იყო წმინდათა-წმინდა წიგნი, მისი გმირული წარსულის, სიმტკიცისა და მხნეობის, ვაჟკაცობისა და მეგობრობის, თავდადებისა და ბრძოლის წარმტაცი პოეტური ეპოპეა.

კაცობრიობის უბოროტეს მტრებს, ყოველი ეპოქის ბნელეთის მოციქულებს, ფეოდალ-ხუცესებს, რომელნიც სდევნიდნენ და სწვავდნენ „ვეფხის-ტყაოსანს“,—შესაძლებლობა რომ მისცემოდათ გაენადგურებინათ „ვეფხის-ტყაოსნის“ ყველა არსებული ხელნაწერი, „ვეფხის-ტყაოსანი“ მაინც დარჩებოდა, მაინც გაცოცხლდებოდა. ხალხის მეხსიერება მას არასოდეს არ დაჰკარგავდა. ტყუილად არ ითვლებოდნენ წარსულში ჩვენი ხალხის საპატიო ადამიანებად „ვეფხის-ტყაოსნის“ გადამწერნი, მისი ზეპირად მთქმელნი. ხალხმა დაიცვა, ხალხმა გადაარჩინა „ვეფხის-ტყაოსანი“ განადგურებას. საუკუნეების განმავლობაში ხალხი იმეორებდა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, „ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა ვით ქვიტკირსა“. ხალხი პოულობდა „ვეფხის-ტყაოსანში“ თავისი იდეალების—სიმართლისა და სიკეთის, გმირობისა და სიმტკიცის გამოხატულებას.

— „ვეფხის-ტყაოსანს“ სდევნიდა რუსეთის თვითმპყრობელობაც, როგორც ქართველი ხალხის კულტურის უდიდეს საუნჯეს. არ დაინდეს „ვეფხის-ტყაოსანი“ ქართველი ხალხის საზიზღარმა მტრებმა მენშევიკებმაც. მათ ქართველ ხალხს მოჰპარეს და საზღვარგარეთ გაიტაცეს „ვეფხის-ტყაოსნის“ უძვირფასესი და უძველესი ხელნაწერები.

მხოლოდ ლენინ-სტალინის დიდმა პარტიამ, დიდმა სტალინმა, ხალხთა ურყევმა სტალინურმა მეგობრობამ ისევ აღადგინა თავის უფლებებში „ვეფხის-ტყაოსანი“, გადააქცია იგი საბჭოთა კავშირის ხალხთა საყვარელ წიგნად. შოთა რუსთაველის იუბილე, რომელსაც ამ დღეებში გადაიხდის ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის ხალხთა უდიდესი მეგობრობის ზეიმია.

„სახელმწიფო და რევოლუციას“ ახალი გამოცემა

მოსკოვი, 22 დეკემბერი (საქტესი). საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტგამომცემლობა ბეჭდავს ვ. ი. ლენინის წიგნს „სახელმწიფო და რევოლუცია“—მარქსის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ და პროლეტარიატის ამოცანები რევოლუციაში. წიგნს დართული აქვს: ლენინის წინასიტყვაობა წიგნის პირველი გამოცემისათვის (ხელნაწერის ფოტოსურათი), ამ წიგნის 1918 წლის პირველი გამოცემის სატიტულო ფურცელი ვლადიმერ ილიას-ძის რვეულის — „მარქსიზმი სახელმწიფოს შესახებ“ ყდისა და პირველი ხუთი ფურცლის ფოტოსურათი ამონაწერებითა და შენიშვნებით, რომლებიც შეგროვილია ვ. ი. ლენინის მიერ თავისი წიგნის „სახელმწიფო და რევოლუციის“ შესადგენად.

ამ რვეულის შესახებ ვ. ი. ლენინი 1917 წლის ივლისში, როდესაც იგი არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, სწერდა: „გთხოვთ გამოსცეთ ჩემი რვეული: „მარქსიზმი სახელმწიფოს შესახებ“ (სტოკჰოლმში დარჩა). ლურჯი ყდა, აკინძულია. შეგროვილაა ყველა ციტატა მარქსიდან და ენგელსიდან... არის მთელი რიგი შენიშვნები და შემჩნევები. საჭიროა ფორმულირება. ვფიქრობ, რომ გამოსაცემად საკმარისია ერთი კვირის მუშაობა. მნიშვნელოვნად მიმაჩნია“.

წიგნი „სახელმწიფო და რევოლუცია“ კარგად არის გამოცემული და ილუსტრირებული. მოცემულია ვ. ი. ლენინის მხატვრული პორტრეტი და ფოტოგრაფიული ასლი ქანდაკებისა „ლენინი რაზლივში“.

წიგნი გამოდის 10 ათას ცალად, ყდიანად ღირს 6 მანეთად.

ქიევი, უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ კოსიორს

აყვავებული უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელოვანი ოცი წლისთავის დღეს მხურვალე ძმურ სალამს გიძღვნით თქვენ და თქვენი სახით მთელ უკრაინელ ხალხს საქართველოს ბოლშევიკთა და ყველა მშრომელთა სახელით.

საბჭოთა უკრაინის ოცი წლისთავი დიდ დღესასწაულს წარმოადგენს დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის, რომელნიც გაერთიანებული არიან ურღვევი სტალინური მეგობრობით.

უდიდესი მიღწევებით ეგებება საბჭოთა უკრაინა ამ ისტორიულ თარიღს. ბოლშევიკთა პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ბელადების—**ლენინისა** და **სტალინის** ხელმძღვანელობით, უკრაინის გმირმა მუშებმა და გლეხებმა დიდი რუსი ხალხის დახმარებით გაანადგურეს გერმანელ-პოლონელი ოკუპანტები, გეტმანელ-პეტლიურელ და სხვა ინტერვენტ-თეთრგვარდიელთა ურდოები.

დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით უკრაინის ბოლშევიკებმა მჭიდროდ დარაზმეს თავის ირგვლივ მთელი უკრაინელი ხალხი და, განუხრელად ანხორციელებდნენ რა ბრძნულ ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, გაანადგურეს ხალხის უბოროტესი მტრები — ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციური ბანდები და უზრუნველჰყვეს საბჭოთა უკრაინის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის აყვავება.

გმირი მრავალმილიონიანი უკრაინელი ხალხი, საბჭოთა პატრიოტიზმის უწმინდესი გრძნობით გამსჭვალული, მრისხანე ძალას წარმოადგენს ომის ფაშისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ, რომელთაც თავიანთი მტაცებლური თვალი მიუმართავთ აყვავებული, დოვლათით სავსე საბჭოთა მხარეზე—უკრაინაზე, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოზე.

სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში ბედნიერი უკრაინელი ხალხი, მტკიცედ დარაზმული ბოლშევიკთა პარტიის ირგვლივ, დიდი **სტალინის** ირგვლივ, გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემს ყოველ აღვირახსნილ მტერს.

უკრაინის ბოლშევიკები, საკ. კ. პ. (ბ) რკინისებური ურყევი რაზმი, საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით, აღმოფხვრიან ხალხის საზიზღარი მტრების—ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტების, ჯაშუშების, დივერსანტების, მავნებლების ნაშთებს და წაიყვანენ უკრაინელ ხალხს კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა უკრაინის XX წლისთავს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს დიდ უკრაინელ ხალხს!

გაუმარჯოს ხალხთა საყვარელ ბელადს, დიდ **სტალინს**!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მდივანი—
ლ. ბერია

კიევი

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ პეტროვსკის

უკრაინის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ტიაგნიბედას

უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სახელოვანი ოცი წლისთავის დღეს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს ყველა მშრომელის სახელით მხურვალე ძმურ სალამს უძღვნიან საბჭოთა უკრაინის მთავრობას და მთელ ხალხს.

უკრაინის გმირმა ხალხმა, გაანადგურა რა გერმანელ-პოლონელი ოკუპანტები და გეტმანელ-პეტლიურელი ბანდები, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი **სტალინის** ბრძნული წინამძღოლობით უდიდეს წარმატებებს მიაღწია საბჭოთა უკრაინის სოციალისტური მშენებლობის, სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის აყვავების საქმეში.

განუხრელად ანხორციელებენ რა ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, ანადგურებენ რა ხალხის მოსისხლე მტრებს ტროცკისტ-ბუხარინელ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ კონტრრევოლუციურ ბანდებს, საბჭოთა უკრაინის მშრომელები, მჭიდროდ დარაზმულნი ბოლშევიკთა პარტიის გარშემო, დიდი **სტალინის** გარშემო, სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ბედნიერ ოჯახში მტკიცე ნაბიჯით მიდიან კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს უკრაინის დიდ ხალხს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს დიდ **სტალინს**!

საქართველოს სსრ ცაკის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე

ძმური სალამი საბჭოთა უკრაინას

ოცი წლის წინათ უკრაინის მშრომელმა ხალხმა თავისუფლების დროშა აფრიალა.

ის ქვეყანა, სადაც წინათ მშრომელთა ხვედრი შიმშილი, მონობა, უუფლებობა და სიღატაკე იყო, სადაც მუშები და გლეხები სულს ღაფავდნენ რუსეთისა და პოლონეთის მემამულეების, მეფის ოხრანკელების და ჯალათების მათრახის ქვეშ, სადაც ხელისგულისოდენა მიწაც არ იყო დარჩენილი მშრომელთა სისხლით შეუღებავი,—ახლა მდიდარი, ბედნიერი, კულტურული, მძლავრი სოციალისტური ქვეყანაა.

უკრაინა, რომელიც წინათ უცხოეთის კაპიტალის სათარეშო იყო, სადაც რუსი, გერმანელი, პოლონელი, ფრანგი ექსპლოატატორები მეტოქეობას უწევდნენ ერთმანეთს, არაქათს აცლიდნენ მუშებს მაღაროებსა და ქარხნებში, სადაც ბურჟუაზია მსუქან ლუკმას ხედავდა და მიისწრაფოდა მის დასაპყრობად—ახლა თავისუფალი და ბედნიერი ხალხის ინდუსტრიული ქვეყანაა.

უკრაინა, სადაც წინათ მემამულეები სისხლს სწოვდნენ გლეხებს, სადაც სოფლად კულაკი ბატონობდა, სადაც მიწას შუასაუკუნოებრივი ტექნიკით ამუშავებდნენ,—ახლა თავისუფალი და ბედნიერი ხალხის კოლექტივიზირებული ქვეყანაა.

უკრაინის მშრომელმა ხალხმა თავისი ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვან გზაზე მრავალი დაბრკოლება გადალახა. გერმანელმა და პოლონელმა მტაცებლებმა სისხლი გაუშრეს უკრაინის მშრომელებს. ისინი მოდიოდნენ უკრაინაში, სწვავდნენ, მიწასთანასწორებდნენ სოფლებს, სადაც გლეხობა მემამულეებისათვის მიწების დაბრუნებაზე უარს აცხადებდა. ვინ მოსთვლის, რამდენი მსხვერპლი შეიწირეს უცხოეთის კაპიტალის საზიზღარმა ბანდებმა, რამდენი მშვიდობიანი ოჯახი ააწიოკეს! მაგრამ ისტორიის ჩარხი უკუღმა მაინც ვერ დაატრიალეს. უკრაინის მშრომელებმა, რომლებიც ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თავგანწირულად იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, სოციალისტური შრომისათვის—გაიმარჯვეს და თავისი ტერიტორიიდან გააძევეს ყველა ჯურის ინტერვენტები, ექსპლოატატორები, მჩაგვრელები და ჯალათები.

უკრაინის მუშათა კლასმა ხალხთა დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით სამუდამოდ დაამხო კაპიტალიზმის უღელი და შევიდა ბედნიერი საბჭოთა ხალხების მჭიდრო ძმურ ოჯახში.

უცხოეთის კაპიტალი ამის შემდეგ უფრო გაბოროტდა: კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა შპიონაჟის ფართო ქსელი შექმნეს, ისინი ცდილობდნენ კვლავ აღედგინათ კაპიტალიზმი. ფაშიზმის აგენტებიდან ყველაზე საშინელი და ცოფიანი აღმოჩნდა იაპონია-გერმანიის ჯაშუშთა და მკვლელთა ტროცკისტულ-ბუხარინული ბანდა. ხალხის ეს საზიზღარი მტრები შეკავშირდნენ კონტრრევოლუციონერ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან და თავიანთ შხამიან ისარს უმიზნებდნენ უკრაინის მშრომელთა გულს, აწყობდნენ მავნებლობას, დივერსიას, სჩადიოდნენ ყოველგვარ სისაძაგლეს, რაც კი ადამიანის გონებას შეუძლია წარმოიდგინოს.

ხალხის მტრები ანგარიშში მოსტყუვდნენ. სახელოვანმა შინსახკომელებმა ამხანაგი ეჟოვის ხელმძღვანელობით, უკრაინის მშრომელი ხალხის მხარდაჭერით გაანადგურეს ტროცკისტ-ბუხარინელთა ეს საზიზღარი ბანდა.

საბჭოთა უკრაინა აყვავებული რესპუბლიკაა.

ქვეყანა დაფარულია ფაბრიკებით, ქარხნებით, საბჭოთა მეურნეობებით, კოლმეურნეობებით, სკოლებით, სამკითხველოებითა და სხვა კულტურული დაწესებულებებით. წარმოიშვენ ახალი ადამიანები. მარიამ დემჩენკო, პეტრე კრივონოსი, მაკარ მაზაი, პოლინა ოსიპენკო, რომელთაც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი იცნობს—უკრაინელებია. გმირ ადამიანთა რიცხვი ყოველდღე იზრდება.

უკრაინის მიღწევები დიდია. ეს თანაბრად ახარებს საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკას, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს.

საქართველოს მშრომელები, უკრაინის ხალხთან ერთად, უდიდეს სიხარულს განიცდიან მოძმე რესპუბლიკის — უკრაინის ეკონომიური აღორძინების, უკრაინაში ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურის აყვავების გამო რაც ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების კიდევ ერთი ბრწყინვალე დადასტურებაა.

საქართველოს მშრომელები, ერთსულოვნად ულოცავენ საბჭოთა უკრაინას სახელოვან 20 წლისთავს და უსურვებენ მას ახალ გამარჯვებებს კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

სალამი საბჭოთა უკრაინას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხების ბედნიერი ცხოვრების შემომქმედს ბრძენ სტალინს!

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის საიუბილეო პლენუმის მონაწილენი

რუსთაველი დღეს მთელი კავშირის უსაყვარლესი პოეტია

ქართველი ხალხის უგენიალურესი პოეტის შოთა რუსთაველის სახელი განსაკუთრებით პოპულარული გახდა სსრ კავშირის მწერალთა პირველი საკავშირო ისტორიული ყრილობის შემდეგ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მხოლოდ ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის პრაქტიკულად გატარების შედეგად გახდა შესაძლებელი მშრომელთა ფართო მასებისათვის ამ დიდი გენიოსის ახლოს გაცნობა.

ამით უნდა აიხსნას ის ცხოველი ინტერესი, რომელსაც იწვევს დღეს ეს დიდი შემოქმედი დიდი საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვან ერებში.

დღეს თითქმის აღარ მეგულება ისეთი ერი, ისეთი ნაციონალური კუთხე ჩვენს სამშობლოში, სადაც არ სთარგმნიდნენ ან გადათარგმნილი არ ჰქონდეთ დიდი რუსთაველის უკვდავი პოემა.

როგორც კი დაისვა საკითხი „ვეფხის-ტყაოსნის“ საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე გადათარგმნისა, მწერალთა კავშირის რუსთაველის კომისია პირდაპირ აივსო ცალკე რესპუბლიკების მოთხოვნით, რომ მივვეწოდებინა პოემის სიტყვა-სიტყვითი თარგმანები და, უნდა ითქვას, ჩვენ ეს ქართველი ამხანაგების დახმარებით შევძელით.

დღეს „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმანი, გარდა რუსულისა (ბალმონტი, პეტრენკო, ცაგარელი), უკვე მოგვეპოვება უკრაინულ (ბაჟანისა), ბელორუსულ (კუპალასი), აზერბეიჯანულ, სომხურ ენებზე სრულად და ნაწყვეტები საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა დანარჩენ ხალხთა ენებზე. ეს ნაწყვეტები თანდათან ივსება და სულ მალე ბევრგან პოემის სრულ თარგმანებს მივიღებთ.

დღეს რუსთაველი მარტო ქართველი ხალხის საამაყო პოეტი როდია, იგი საბჭოთა კავშირის ყველა ერის უსაყვარლესი პოეტიცაა. ხალხს იგი უყვარს, ხალხი მის სიბრძნეს ეუფლება, რუსთაველის სახელი სწვდება დიდი კავშირის განუზომელ სივრცეებს.

ლუპპოლი

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის რუსთაველის კომისიის თავმჯდომარე



ა. ნოვიკოვ-პრიბოი

საკუთარი ნაწარმოებით...

— თბილისში ჯერ არ ვყოფილვარ, ახლა პირველად ვარ. ქვეყანა, სადაც იშვა ყველა ჩვენგანისთვის უმახლობელესი ორი დიდი სახელი, განსაკუთრებით მიზიდავდა და მხოლოდ ამ დიადი ზეიმის გამო მომეცა ბედნიერი შემთხვევა აქ ჩამოსვლისა.

მოვდივარ საკუთარი ახალი ნაწარმოებებით. მომაქვს საკუთარი ახალი რომანი „პირველი რანგის კაპიტანი“, რომელმაც მინდა პირველი „ნათლობა“ აქ, საქართველოში მიიღოს. მე ამ რომანს წავუკითხავ თბილისელ მუშებს, წითელი არმიის მებრძოლებს.

6 წლის განმავლობაში ვცურავდი ზღვებსა და ოკეანეებს. ამ ხნის განმავლობაში ჩემს სამწერლო შთაგონებას ამდიდრებდა დიდებული სტიქია. აქ, სადაც დაიბადა და დაჰკაბუკდა დიდი სტალინი; აქ, სადაც დიდი შოთას სიმღერის ხმა ისმის—განცდათა ახალ, კიდევ უფრო უზარმაზარ ოკეანეს ვპოულობ.

ა. ნოვიკოვ-პრიბოი.

დემიან ბედნი

დიად ხალხს ჩემი სალამი

მე მინახავს მამაცი, ძლიერი ქართველი არწივები—და არწივი ყველა არწივთა შორის—მათი მსოფლიოგმირული ფრენის დროს.

ბედნიერი ვარ, რომ ამჟამად ვიხილავ იმ ბუდეს, იმ ქვეყანას და იმ დიად ხალხს, რომელმაც გვაჩუქა და მომავალშიც გვაჩუქებს არწივებს.

პოეტი პოეტთა შორის, დიდებული არწივი, ჩვენი ბრძენი მასწავლებელი და ხალხურ-ქართული მომღერალი შოთა რუსთაველი, ვისი სხივოსანი სახე და ჯადოსნური სიმღერა შეიყვარა ხალხმა, შეინახა და მოიტანა ჩვენს გმირულ ეპოქამდე, არის ჩვენი ღვიძლი ძმა, ჩვენი უკვდავი მოკავშირე, ის მოგვიწოდებს ახალი გმირობისათვის და გვეძახის ახალი სასახელო საქმეებისათვის.

ბედნიერი ვარ პატივი ვცე მის ხსოვნას იმ ხალხთან ერთად, რომელმაც წარმოშვა იგი.

დიად ქვეყანას და დიად ხალხს, ახალი კულტურის შემქმნელს და ძველის შემნახველს ჩემი მოკრძალებული, ჩემი ძმური და სიყვარულით სავსე სალამი.

დემიან ბედნი



ა. სერაფიმოვიჩი

ახალ შთაგონებათა წყაროსთან

— მოხუცი, მაგრამ ერთი წუთითაც არ მიგრძნია თავი მოხუცად. ჩვენს შესანიშნავ დროში, სტალინური კონსტიტუციის ეპოქაში, როცა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება აღსავსეა ერთიმეორეზე უფრო წარმტაცი დიადი მოვლენებით, საბჭოთა მწერალი თავს არასოდეს იგრძნობს მოხუცად და დაუძლურებულად.

პირველად ვარ საქართველოში. ჩემთვის ეს ქვეყანა ახალ შთაგონებათა წყაროს წარმოადგენს. აქ იმღერა შოთა რუსთაველმა უკვდავი ქნარით, აქ, მზიურ საქართველოში, ხარობდა დიდი კულტურა, რომელმაც საუკუნეთა სიმძიმეს გაუძლო და ჩვენს ბედნიერ ეპოქამდე მოვიდა მთელი თავისი ბრწყინვალებითა და დიდებით...

მსურს პირადად გავეცნო საქართველოს მწერლებს, განსაკუთრებით ჩემსავით ხანში შესულებს, მაგრად ჩამოვართვა მათ ხელი და მივულოცო მსოფლიოს პოეტთა დღესასწაული—რუსთაველის იუბილე.

ა. სერაფიმოვიჩი

ვინ ჩამოვიდნენ

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის რუსთაველისადმი მიძღვნილი პლენუმის მუშაობაში მონაწილეების მისაღებად გუშინ თბილისში მოსკოვის მატარებლით ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მწერლები. მწერლებს კიროვაბადში შეხვდა „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტების ბრიგადა, რომელმაც სტუმრები თბილისამდე ჩამოაცილა და გზადაგზა საუბარი ჰქონდა რუს, ბელორუს და სხვა გამოჩენილ მწერლებთან.

საუბრის დროს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ეროვნებათა სექციის ხელმძღვანელმა ამხ. ა. არშარუნიმ მწერალთა კავშირის რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე დასასწრებლად წამოსული დელეგაციების შემადგენლობის შესახებ ჩვენს კორესპონდენტებს აცნობა შემდეგი:

— ამ მატარებლით მოდიან მოსკოვის, ლენინგრადისა და ბელორუსიის მწერალთა დელეგაციები და უზბეკეთის, ყალმუხეთის, თათარეთის, ბაშკირეთის, ჩუვაშეთის და კარელიის მწერლების წარმომადგენლები, სულ 73 მწერალი. მათ შორის არიან მწერლები: ვ. სტავსკი (სსრ კავშირის მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი), აბულ-კასიმ ლახუტი, ვს. ვიშნევსკი, დემიან ბედნი, ალ. ნოვიკოვ-პრიბოი, ალ. სერაფიმოვიჩი, თ. პანფეროვი, კ. ფედინი, ლ. ლეონოვი, ნ. ტიხონოვი, მარიეტა შაგინიანი, თ. გლადკოვი, ლიდია სეიფულინა, ანნა კარავაევა, ალ. ფადეევი, ვ. გერასიმოვი, პ. ანტოკოლსკი, ვ. ლუგოვსკოი, ნ. ზაბოლოცკი, მარკიშ პერეცი, ფინენბერგი (რუსთაველის ებრაულ ენაზე მთარგმნელი), ვერა ინბერი, ალ. ბეზიმენსკი, ალ. სურკოვი, ალ. ჟაროვი, ჯეკ ალტაუზენი, ს. მიხალკოვი, ი. უტკინი, ნ. ასეევი, ილია სელვინსკი, ლევ კასილი, ბ. ბრიკი, იანკა კუპალა, სერგეი სემიონოვი (ჩელუსკინის ეპოპეის მონაწილე), ნ. ლუშკო, ბასანგოვი, პეტრუს ბროვკა, ხვედოროვიჩი, მ. ლოგონკოვი, ხაშჩევაცკი, ჰუსეინოვი და უიპ მიში.

გზაში არიან: უკრაინის დელეგაცია 20 კაცის შემადგენლობით, აზერბეიჯანისა — 9 კაცის შემადგენლობით, მათ შორის რუსთაველის სამი მთარგმნელი და ორი აშუღი, ყაზახეთის დელეგაცია 5 კაცის შემადგენლობით, მათ შორის ცნობილი პოეტი ჯამბული, და უზბეკეთის დელეგაცია, რომელშიაც შედის 8 კაცი, აქედან ერთი ხალხური მომღერალი.

მხურვალე სალამი მოძმე რესპუბლიკათა მხატვრული სიტყვის ოსტატებს!

კიროვაბადიდან თბილისამდე

(„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტთა ბრიგადისაგან)

აზერბეიჯანის ველები ნისლში გახვეულა. ღამის წყვდიადში მოსკოვ-თბილისის ჩქარი მატარებელი მოარღვევს ზამთრის სქელ ბურუსს. მატარებელი საქართველოს დედაქალაქისაკენ მიეჩქარება. მატარებლის ბოლოს სამი ვაგონია. ისინი საქართველოს დედაქალაქს დილისათვის დიდ სიურპრიზს უმზადებენ. მათ მოჰყავთ რუსეთის, ბელორუსიის, ყალმუხთა, უზბეკთა, ყაზახთა, ჩუვაშთა საუკეთესო შვილები—საბჭოთა მწერლები, ჭეშმარიტი „სულის ინჟინრები". მათ შორის ბევრია ისეთი, რომელთა სახელიც შორსაა გავარდნილი და დიდი საბჭოეთის ფარგლებს სცილდება. უმეტესობას ქართველი მკითხველი მათი ნაწარმოებებით თუ იცნობს, ხვალ კი პირისპირ შეხვდება იგი საყვარელ მწერლებს.

ისინი მოდიან, რომ ჩვენთან ერთად იზეიმონ ჩვენი საამაყო მგოსნის დიდი რუსთაველის უკვდავი პოემის დაწერიდან 750 წლის შესრულება.

ზამთრის ღამის ზღაპრულ სიჩუმეს მამლების ყივილი არღვევს. მატარებელი კიროვაბადს უახლოვდება.

ინათლა კიდეც.

ჩვენი ბრიგადა არღვევს ძვირფასი სტუმრების სიმშვიდეს. ბევრს ჯერ კიდევ სძინავს, მხოლოდ მწერალთა უფროს თაობას ადრე გაჰღვიძებია და ფხიზლობს.

ვესტუმრეთ კუპეში ამხ. ლახუტის, დემიან ბედნის და სერაფიმოვიჩს.

ისინი ხალისით გვხვდებიან, გვესალმებიან.

მომხიბლავნი არიან ლახუტი, დემიანი, სერაფიმოვიჩი თავისი მხნე და გულწრფელი ოხუნჯობით.

საუბარი მომავალ პლენუმზე და იუბილეზე გადადის. თანამედროვე მხატვრული სიტყვის ოსტატები დიდად აფასებენ დიდი რუსთაველის შემოქმედებას, მის ბრძნულ იდეებს. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ პლენუმს, იუბილეს. ამ ამბებს ისეთი განცდები აუშლია ირანის შვილისათვის, რომ პოეტურ აღგზნებაში მოსულ ლახუტის გზაში მთელი პოემა დაუწერია, რუსთაველისადმი მიძღვნილი.

დემიანიც თავის აღგზნებულ სიტყვებს გვიწერს ბლოკნოტში და გამოჰხატავს თავის აღტაცებას დიდი რუსთაველით.

საკმაოდ ინათლა. ჩამოწოლილი ნისლი ველებიდან თანდათან აიკრიფა და მალე სულაც გაქრა. მგზავრები წამოიშალნენ. პირადად ვეცნობით: ამხ. სტავსკის, ვიშნევსკის, ტიხონოვს, შაგინიანს, სეიფულინას, კარაევას, ფადეევს, ბრიკს, ანტოკოლსკის, ზაბოლოცკის, ჟაროვს, ბეზიმენსკის, კასილს, კუპალას და სხვებს, რომლებიც დღეს ჩვენი ძვირფასი სტუმრები არიან.

ყველა სიხარულით, სავსე გულითა და სიყვარულით მიისწრაფვის თბილისისაკენ, რათა უშუალოდ განიცადოს ის საზეიმო განწყობილება, რომელსაც დღეს ქართველი ხალხი მოუცავს.

და მართლაც, განა ქართველ ხალხს დღეს უნეტარესი წუთები არა აქვს? როდის ნახავდა იგი ამდენ მოწინავე კულტურულ ძალებს თავის ქვეყანაში, შეეძლო ამაზე ოცნება შავბნელ წარსულში?

მხოლოდ სტალინურმა ეპოქამ შეუქმნა მას ამის პირობები და დღეს საქართველოს დედაქალაქში ხვდებიან ერთმანეთს დიადი საბჭოეთის მრავალრიცხოვანი თუ პატარა ერების მოწინავე კულტურული ძალები, როგორც თანასწორნი.

მატარებელი 2 საათის დაგვიანებით მიდის. ყველას ეჩქარება, მალიმალ საათებს სინჯავენ.

გრძელდება საუბარი, რომლის თემაც ხშირად იცვლება. საუბარი უმთავრესად მწერლობასა და პოეზიას დასტრიალებს, ხოლო ქართული პოეზია, მწერლობა, რუსთაველი საუბრის მთავარი საგანია. ყველა გატაცებით ლაპარაკობს ქართველი ხალხის საამაყო შვილზე, გენიოს შოთაზე, ზოგიერთებს ზეპირადაც კი მოჰყავს აფორიზმები მეგობრობაზე, რაინდობაზე, სიყვარულზე. ადარებენ ერთმანეთს თარგმანების ხარისხს. სხვადასხვაა აზრი. ზოგს პეტრენკო უფრო მოსწონს, ზოგს—ცაგარელი.

— მაგრამ ორიგინალს მაინც ვერც ერთი ვერ შეედრება,—ასეთია საერთო აზრი.

თარგმანებიდან ყველაზე მაღლა ბაჟანის უკრაინულ თარგმანს აყენებენ.—ყველაზე უკეთ ბაჟანი მისწვდა რუსთაველის ლექსის ბუნების საიდუმლოებასაო,—ამბობენ გამოჩენილი მწერლები.

მატარებელი საქართველოს ტერიტორიაზე გადმოვიდა.

— სალამი შენ, რუსთაველის დიდო ქვეყანავ!—შესძახეს პოეტებმა და მათ სხვებმაც მისცეს ბანი.

კიდევ ცოტა დრო... და მატარებელი მხატვრულად მორთულ თბილისის სადგურზე შევიდა. გაისმის სასულე ორკესტრის ხმა. პერონზე ქართველ მწერლებს, მშრომელებს, მოსწავლე ახალგაზრდობას მოუყრიათ თავი და ყვავილების თაიგულებით და მისასალმებელი შეძახილებით ხვდებიან სტუმრებს. გარეთ, ვაგზლის მოედანზე კი ზღვა ხალხია.

სტუმრები ტრიბუნაზე ადიან, იწყება საზეიმო მიტინგი.

საქართველოს დედაქალაქი ღირსეულად შეხვდა ღირსეულ სტუმრებს—საბჭოთა ხალხების საუკეთესო შვილებს.

სსრ კავშირის მწერალთა საიუბილეო პლენუმის წევრები თბილისის სადგურზე გამართულ მიტინგზე.

ფოტო რ. ტკოფოევისა

ხალხთა ძმობისა და მეგობრობის დემონსტრაცია

დღეს, 24 დეკემბერს, თბილისში იხსნება სსრკ მწერალთა კავშირის პლენუმი, მიძღვნილი შოთა რუსთაველისადმი. გუშინ პლენუმზე დასასწრებლად თბილისში ჩამოვიდნენ კავშირის გამგეობის წევრები და მოძმე რესპუბლიკების მწერალთა დელეგაციები.

დილიხნით ადრე მატარებლის მოსვლამდე ძვირფასი სტუმრების შესახვედრად სადგურზე თავი მოიყარეს მწერლებმა, კულტურულ-სამხატვრო დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა, ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველებმა, არტისტებმა, პედაგოგებმა, მოსწავლეებმა.

სადგურის პერონი და მოედნის მახლობლად მდებარე სახლები მორთულია ალისფერი არშიებით, ლოზუნგებით, რუსთაველის აფორიზმებით. სასტუმრო „კოლხიდის" ფასადს ამშვენებს ქართველი ხალხის ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი ბერიას პორტრეტი, რუსთაველის ფიგურა და მისალმების სიტყვები: „რუსთაველის სამშობლო სალამს უძღვნის საბჭოთა ქვეყნის მწერლებსა და პოეტებს".

დღის 2 საათისათვის სადგურის მოედანი და პერონი გაიჭედა ხალხით. აქ არიან საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვ. ბაქრაძე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნები ამხ. ვ. ცხოვრებაშვილი და ს. მამულოვი, თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. მ. გვიშიანი, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტურისა და განათლების განყოფილების გამგე და საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ამხ. კ. ჩარკვიანი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ჩუბინიძე, უზენაესი საბჭოს დეპუტატები შ. დადიანი, ა. წიკლაური, დ. ჭუჭინაძე და სხვ.

დღის 2 საათსა და 35 წუთზე პერონს მოადგა მოსკოვის მატარებელი. იგრიალა ორკესტრმა და შემხვედრთა ტაშმა. ისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ ძმობას", „გაუმარჯოს საბჭოთა ლიტერატურას".

პირველად ვაგონიდან გამოვიდა ორდენოსანი დემიან ბედნი. „გაუმარჯოს დემიანს", „გაუმარჯოს პროლეტარულ პოეზიას" — ისმის სხვადასხვა მხრიდან. მოსწავლეებმა მას ყვავილების თაიგული მიართვეს.

თაიგულებს მიართვეს ყველა სტუმარს. ნაირნაირი ყვავილები საუცხოოდ ეხამებიან ამ სასიხარულო შეხვედრის სილამაზეს.

მატარებლიდან სტუმრები გამოდიან სადგურის მოედანზე, სადაც მათ დიდძალი ხალხი ელოდა. გაიმართა მიტინგი. იგი მოკლე სიტყვით გახსნა საქ. მწერალთა კავშირის მდივანმა ამხ. კ. ჩარკვიანმა, რომლის თბილ სიტყვებს ჰფარავს მქუხარე ტაში.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოდის რესპუბლიკის სახალხო არტისტი, მწერალი და დრამატურგი შალვა დადიანი.

ბელორუსიის მწერალთა სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ბელორუსიის სსრ სახალხო პოეტმა იანკა კუპალამ.

— მე ბედნიერი ვარ მივესალმო ქართველ ხალხს, რომელმაც კაცობრიობას მისცა უდიდესი გენიოსი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი იოსებ ბესარიონისძე სტალინი.

შოთა რუსთაველის შემოქმედება ფართოდ შეიჭრა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის გულში. ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ ნაციონალურ კულტურათა მიღწევები საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხის კუთვნილებად გადააქცია.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაფასდა გენიალური რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გახადა ქართველი ხალხის უკვდავი გენიოსის შოთა რუსთაველის სახელი და მისი უებრო შემოქმედება დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის საკუთრებად.

ნება მომეცით მოგესალმოთ ბელორუსიის ხალხის სახელით და დაგარწმუნოთ, რომ ბელორუსიის ხალხი, რომელიც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დასავლეთ საზღვარზე ცხოვრობს, მომავალშიაც ფხიზლად იდგება საბჭოთა საზღვრების სადარაჯოზე და არავის ნებას არ მისცემს ჩრდილი მიაყენოს ჩვენს საერთო სიხარულს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურყევ მეგობრობას!

გაუმარჯოს ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას!

დიდება დიად ქართველ ხალხს, რომელმაც კაცობრიობას მისცა უშესანიშნავესი გენიოსები.

დიდება სტალინს, ჩვენს მამას და მასწავლებელს.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშათა სახელით სტუმრებს მიესალმა ამხ. ვ. ნაზარენკოვი.

ქართული ხელოვნების მუშაკთა მრავალათასიანი არმიის სახელით სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა.

ორდენოსან საქართველოს დედაქალაქის პიონერებისა და ბავშვების სახელით მწერლებს მიესალმა ორდენოსანი ეთერი გვანცელაძე.

დასასრულ მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა ვსევოლოდ ვიშნევსკიმ.

— ძვირფასო ამხანაგებო და ძმებო! ნება მომეცით მადლობა გადაგიხადოთ შეხვედრისათვის მოსკოვისა და მთელი საბჭოთა კავშირის მწერლების სახელით.

ჩვენი გული უსაზღვრო მღელვარებამ მოიცვა, როდესაც ჩვენ დავინახეთ მიწა, სადაც დიდი სტალინი დაიბადა. აქ გაიზარდა ჩვენი სტალინი, რომელმაც ლენინთან ერთად წაიყვანა მასები მჩაგვრელებთან საბრძოლველად. ამ მიწაზე დარაზმა პირველად სტალინმა მუშათა კლასი და ხალხი უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად.

რუსი და ქართველი ხალხი არაერთი საუკუნე მიდიოდნენ ერთად. ჩვენს გათიშვას არაერთხელ ცდილობდნენ მტრები, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს. ჩვენ ერთად მივდიოდით და ერთად ვივლით მომავალშიც იმ გზით, რომელიც სტალინმა დაგვისახა.

ხალხის საზიზღარი მტრები თავისი მოქმედებით ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ ჩვენი ქვეყნის ძლიერებისათვის. მაგრამ აღიმართა ხელი და მტრებისგან არაფერი დარჩა. ქარმა გაფანტა მტრების ფერფლი.

1937 წელი ღირსშესანიშნავი წელი იყო. სტალინმა მოუწოდა საბჭოთა ხალხს შრომისაკენ და ხალხმა უხვი მოსავლით უპასუხა. სტალინმა მოგვიწოდა გმირობისა და სიმამაცისაკენ და ჩვენმა მფრინავებმა გადალახეს ჩრდილოეთი პოლუსი და მსოფლიო რეკორდები დაიპყრეს.

1937 წელს ჩვენ ვამთავრებთ რუსთაველის დღესასწაულით. ჩვენ შევიკრიბეთ საქართველოში, რომელმაც კაცობრიობას მისცა გენიალური სტალინი, რათა აღვნიშნოთ უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის იუბილე.

გაუმარჯოს დიდ ქართველ ხალხს!

გაუმარჯოს ხალხთა ურყევ კავშირს!

შოთას უკვდავება მის ხალხურობაშია

— განსაცვიფრებელია, რომ მეთორმეტე საუკუნეში, ფეოდალიზმის ხანაში, როცა მხატვრებმა ვერ შეჰქმნეს დიდი ნაწარმოებნი, შოთამ შეჰქმნა უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი", რომელმაც ამდენ საუკუნეს გაუძლო და კვლავაც მრავალს გაუძლებს. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება?

ჩემი აზრით, იმით, რომ რუსთაველმა მიაგნო ხალხური სიბრძნის წყაროს, მან მხატვრულად ასახა ის, რაც აღელვებდა და ამოძრავებდა ხალხს, და გენიალურ სიმაღლემდე აიყვანა ხალხური სიბრძნე. ამით უნდა აიხსნას, ჩემი აზრით, ის გარემოებაც, რომ „ვეფხისტყაოსანი" შეეზარდა ხალხს და ხალხი ამ პოემაში პოულობდა და პოულობს თავის მისწრაფებათა გამოხატულებას.

ბ. ბელინსკი ამბობდა, ხალხურობა მდგომარეობს იმაში, რომ მწერალმა ამათუიმ მოვლენას შეხედოს არა მარტო თავისი თვალთახედვის პერსპექტივით, არამედ ხალხის თვალითაც. თუ ეს შესძლო მწერალმა, იგი უკვდავი გახდება ხალხისთვისაც. ეს შესძლო რუსთაველმა და ამაშია მდგომარეობს მისი უკვდავების „საიდუმლოება".

დღეს რუსთაველის იუბილეს ზეიმობს მთელი საბჭოთა კავშირი, მისი სახელი გაისმის მთელ მსოფლიოში. რუსთაველი ეკუთვნის მთელ კულტურულ კაცობრიობას და ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ ამ იუბილეს ზეიმს ვესწრები რუსთაველის სამშობლოს დედაქალაქში.

ფ. გლადკოვი

სალამი, შოთას სამშობლოვ!

— ჭაბუკური სიხარულით მოვდივარ შოთას ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადა და აღიზარდა ხალხთა ბელადი დიდი სტალინი, სადაც რუსთაველმა, ფირდოუსის სულიერმა ნათესავმა, მარადიული ქება შეასხა ძმობასა და სიყვარულს.

ჩემი წარსული არა ჰგავს სხვების წარსულს. მორწმუნე მაჰმადიანთა რელიგიურ ტრადიციებზე აღზრდილმა 1923 წელს მე ვპოვე ჩემი მექა და მედინა. ჩემი მექა—წითელი დედაქალაქი მოსკოვია. მედინა—საქართველო, სადაც თავისი უკვდავება შეჰქმნა დიდმა შოთამ.

საქართველოში ჩამოსვლა ჩემს მეხსიერებაში წარუშლელ თარიღად დარჩება. მე აქ ვნახავ იმას, რაზედაც ვოცნებობდი ჩემი შემოქმედებითი მუშაობის წლების მანძილზე: ვნახავ სახლს, სადაც დაიბადა ხალხთა მამა, ჩვენი სტალინი, ვნახავ ხალხს, რომელმაც 7 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში გულით ატარა რუსთაველის ნაანდერძევი საკაცობრიო იდეალები, გავეცნობი ამ ხალხის ლიტერატურას და თუ ბედად არ მიწერია ვნახო ფირდოუსის საფლავი, გულით კმაყოფილი ვიქნები, რადგან ვნახე საქართველო—რუსთაველის სამშობლო.

სალამი, რუსთაველის სამშობლოვ!

აბულ-გასიმ-ახმედ-ზადე
ლახუტი

მიხეილ კოლცოვი

საბჭოთა უკრაინის ოცი წელი

ოცი წლის წინათ უკრაინის მუშებმა, გლეხებმა, ჯარისკაცებმა გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც სამუდამოდ შესცვალა მჩაგვრელების, ექსპლოატატორების, მემამულეების, კაპიტალისტების ხელისუფლება.

ამ დღიდან, დანგრეული მეურნეობის აღსადგენად გაწეულ ჯერ სასტიკ სისხლისმღვრელ ბრძოლაში, შემდეგ შეუპოვარ შრომაში და მერე — სოციალისტური მშენებლობის ბედნიერ წლებში, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, გამოიჭედა, შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური უკრაინა, საუცხოო მდიდარი ქვეყანა—საბჭოთა კავშირის განუყოფელი ნაწილი.

საბჭოთა უკრაინის ახალი თაობისათვის, თავისუფალი, ძლიერი, ახალგაზრდა, ბედნიერი მოქალაქეებისათვის ძნელი წარმოსადგენია, რა უსაზღვრო ტანჯვასა, სიღატაკესა და გაჭირვებაში, რა უუფლებობასა და მონობაში ცხოვრობდა მათი ხალხი, როგორ სტანჯავდნენ მას საუკუნოების განმავლობაში, როგორ ირწყვებოდა ხალხის სისხლით უკრაინის ნაყოფიერი, აყვავებული მიწა და როგორ უბნელდებოდათ მზე უკრაინელ მუშებსა და გლეხებს, რომლებიც სულს ლევდნენ რუსეთისა და პოლონეთის მემამულეების, მეფის ოხრანკელების, ჯალათების, საპყრობილეს მაზხურების, ამწიოკებლების ტყვეობისა და მათრახის ქვეშ. ხალხურ სიმღერებში, დიდი უკრაინელი რევოლუციონერი პოეტის ტარას შევჩენკოს ლექსებში აღბეჭდილია ეს საშინელი დრო.

რუსეთის კაპიტალიზმმა უკრაინის მიწა-წყალი მეფის თვითმპყრობელობის უუფლებო კოლონიად გადააქცია. მაგრამ რუსეთის მეწარმეთა გაუმაძღარი ხახისთვისაც კი უკრაინა ერთობ დიდი ნაჭერი იყო, რომელსაც ისინი ვერ მოინელებდნენ. უკრაინის პროლეტარიატისა და გლეხობის ექსპლოატაციაში, ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციაში მონაწილეობას იღებდნენ უცხოეთის საქციო საზოგადოებანი. რუსი, გერმანელი, პოლონელი, ფრანგი ექსპლოატატორები მეტოქეობას უწევდნენ ერთმანეთს და სძარცვავდნენ უკრაინელ მუშას, გლეხს, არაქათს აცლიდნენ მას დონბასისა და კრივოი როგის მაღაროებში, კიევშჩინის შაქრის ქარხნებში, ვოლინისა და პოდოლის მინდვრებზე.

ფაბრიკანტებისა და მემამულეების მოგება, სიმდიდრე განსაკუთრებით დიდი იყო უკრაინაში. ამიტომ განსაკუთრებით ძლიერი იყო რუსეთისა და საერთაშორისო კაპიტალიზმის გაფთრება, როდესაც უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის წითელი დროშა აფრიალდა. ამის გამო იყო უკრაინაში სამოქალაქო ომი და უცხოეთის სახელმწიფოთა ინტერვენცია განსაკუთრებით სასტიკი, ბრძოლა—განსაკუთრებით სისხლისმღვრელი და ხანგრძლივი.

ვინ არ ყოფილა უკრაინაში ამ წლების მანძილზე, ვის არ უცდია უკრაინელი ხალხის დამორჩილება შეიარაღებული ხელით! გერმანელ დამპყრობელთა ურდოები, საფრანგეთ-ინგლისის საექსპედიციო ნაწილები, თეთრპოლონელთა არმიები, მათი მოსყიდული კოდები—პეტლიურელ გაიდამაკელთა ბანდები, დენიკინისა და ვრანგელის თეთრგვარდიული „მოხალისე არმია", მახნოელთა, გრიგორიეველთა, ტიუტიუნიკოველთა ხულიგნურ-ბანდიტური ხროვა—ყველა ესენი ცდილობდნენ დაედგათ უღელი უკრაინელი მუშისა და გლეხისათვის, კვლავ შეებორკათ ისინი, რომელთაც უკვე ერთხელ მოიგლიჯეს ხუნდები თავისი მშრომელი ხელებიდან.

განსაკუთრებით მძიმე, სასტიკი და თავხედური იყო გერმანიის იმპერიალიზმის ინტერვენცია უკრაინაში. გერმანიის უზარმაზარი არმიები შეიჭრნენ უკრაინის ქალაქებსა და სოფლებში; ისინი ავიწროებდნენ მუშათა და გლეხთა მცირერიცხოვან, ცუდად შეიარაღებულ რაზმებს; მათ ხიშტის ძალით დასვეს ეგრეთწოდებული ცენტრალური რადისა და შემდეგ გეტმანის კარიკატურული, ბალაგნური „მთავრობები"; ინტერვენტები თავისი დაქირავებული აგენტების, პეტლიურელებისა და გეტმანელების დახმარებით შეუდგნენ უკრაინის საჩქაროდ ძარცვას და უკრაინელი ხალხის ჟლეტას.

მარტო 1918 წლის 23 აპრილის ერთი ვალდებულების თანახმად უკრაინამ გერმანიას ჩააბარა 60 მილიონი ფუთი პური. დამატებითი ვალდებულებით უკრაინა იძულებული იყო გადაეცა გერმანიისათვის ჯერ კიდევ 1918 წლის მოსავლამდე დამატებით 75 მილიონი ფუთი პური, 11 მილიონი ფუთი ცოცხალი პირუტყვი, 30 ათასი ცოცხალი ცხვარი, 1 მილიონი ფრინველი, 4 მილიონი ფუთი შაქარი, 60 ათასი ფუთი კარაქი და ცხიმები, ყოველთვიურად 200 ათასი ფუთი ხორცის კონსერვი, 1500 ვაგონი კვერცხი, 2 მილიონ 500 ათასი ფუთი შაქრის ფხვნილი, 20 მილიონი ლიტრი სპირტი. გარდა ამისა, გერმანელმა ოკუპანტებმა ხელში ჩაიგდეს მთელი ხე-ტყის და სასოფლო-სამეურნეო დამზადება, ყველა რკინიგზა უკრაინაში, დონეცისა და კრივოი როგის ყველა მაღარო. გერმანიის საოკუპაციო არმიის თვითეული ჯარისკაცი უკრაინელ ხალხს ყოველთვიურად უჯდებოდა ცხრა მანეთ ოქროდ. უკრაინაში ამ დროს სამასი ათასი გერმანელი ჯარისკაცი იყო!

გერმანელი, პოლონელი და სხვა მტაცებლები, მოდიოდნენ რა უკრაინაში, დაუყოვნებლივ აიძულებდნენ გლეხებს დაებრუნებინათ მემამულეებისათვის მიწა, სწვავდნენ, მიწასთან ასწორებდნენ ურჩ სოფლებს, სახრჩობელებით ავსებდნენ ქალაქის მოედნებსა და სასოფლო გზებს. ინტერვენტებს უნდოდათ იძულებული გაეხადათ უკრაინელი ხალხი სისხლში ეცურავა, დაჩოქილიყო და კაპიტალიზმს დამონებოდა. არ გამოვიდა! უკრაინის მშრომელებმა, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თავისი თავისუფლებისათვის, ნაციონალური უფლებებისათვის, სოციალისტური შრომისათვის,—გაიმარჯვეს და გაადევნეს ყველა ინტერვენტი, ექსპლოატატორი, მჩაგვრელი და ჯალათი.

სოციალიზმის აშენებისათვის გიგანტურ ბრძოლაში უკრაინელ მუშებსა და გლეხებს უდიდესი დახმარება გაუწია რუსეთის მუშათა კლასმა და რუსეთის გლეხობამ, რომელთა საუკეთესო შვილები უკრაინელი ხალხის შვილებთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ. საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) მამაცურად, მტკიცედ ხელმძღვანელობდა ამ ბრძოლას. ხალხთა დიდი ბელადები, სოციალიზმის დიდი სარდლები ლენინი და სტალინი პირადად აღფრთოვანებდნენ უკრაინის მშრომელ მასებს, მთელ თავის ძალღონეს სწირავდნენ მათს ბრძოლას, მთელ თავის სიბრძნესა და რკინისებურ ნებისყოფას სწირავდნენ გამარჯვებას. ეს მათი უშიშარი ხელმძღვანელობით დაამხო სამუდამოდ უკრაინელმა ხალხმა კაპიტალიზმის უღელი და შევიდა ბედნიერი საბჭოთა ხალხების ერთსულოვან ძმურ ოჯახში.

ლამობდნენ რა უკრაინის დამონებას, კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა ფართო ქსელი შეჰქმნეს თავისი აგენტების, ჯაშუშების, მავნებლების, უკრაინელი ხალხის მტრებისა, რომლებიც ესერების, პეტლიურელების, „უკაპისტების", „ბოროტბისტების", „ბორბისტების" პარტიებად და სხვა ჯგუფებად და ბანდებად დანაწილდნენ და განუწყვეტლივ ცდილობდნენ მახეში გაებათ, მოეტყუებინათ უკრაინის მშრომელები, დაემონებინათ ისინი უცხოეთის კაპიტალისათვის. უკვე მაშინ, როდესაც თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა არმიები დამარცხებული და გაძევებული იყვნენ, როცა სოციალიზმმა გაიმარჯვა საბჭოთა უკრაინაში,—მოსპობილი ექსპლოატატორული კლასების კუდები, ნაბოლარები კიდევ ცდილობდნენ ზიანი მიეყენებინათ უკრაინელი ხალხისათვის, ჩაეშალათ სოციალისტური მშენებლობა.

კაპიტალიზმის, რეაქციის, ფაშიზმის ყველა აგენტიდან ყველაზე საზიზღარი, ყველაზე ცოფიანი თავის გაბოროტებაში აღმოჩნდა იაპონია-გერმანიის ჯაშუშთა და მკვლელთა სისხლიანი ტროცკისტულ-ბუხარინული ბანდა. კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან შეკავშირებით ეს ხროვა ცდილობდა ჯაშუშობის, ტერორის, მავნებლობის მეთოდებით აღედგინა კაპიტალიზმი უკრაინაში, ჩამოეშორებინა იგი საბჭოთა კავშირისაგან. ამაოდ! მათ დაავიწყდათ, როგორ გაანადგურეს სამოქალაქო ომის წლებში წითელი არმიის სახელოვანმა მეომრებმა, რომლებიც ვოროშილოვმა, ბუდიონიმ, შჩორსმა გამოზარდეს, დენიკინის, ვრანგელის, მახნოს ბანდები, გერმანელი და პოლონელი ოკუპანტები! საბჭოთა სადაზვერვო ორგანომ, შინსახკომელთა სახელოვანმა არმიამ, მისმა მებრძოლმა ხელმძღვანელმა სტალინელმა სახალხო კომისარმა ამხანაგმა ეჟოვმა გაანადგურეს ტროცკისტულ-ბუხარინული, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური, გერმანია-პოლონეთის ჯაშუშური ბუდეები.

ოდესღაც დაჩაგრული, ღატაკი, ჩამორჩენილი უკრაინა აყვავდა, ოცი წლის განმავლობაში მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა, რომელსაც აქვს მძლავრი მოწინავე სოციალისტური სოფლის მეურნეობა. თავის ოცი წლისთავს საბჭოთა უკრაინა ეგებება ისეთი მშვენიერი გიგანტებით, როგორიცაა დნეპრჰესი, ძერჟინსკის მეტალურგიული ქარხანა, ნოვო-კრამატორსკის სტალინის სახელობის ქარხანა, ზაპოროჟსტალი, მაკეევკის კიროვის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, ხარკოვის ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხანა, კრივოი როგის ქარხანა, სოციალისტური მრეწველობის სხვა მრავალი დიდი და პატარა, ახლად აგებული და რეკონსტრუირებული საწარმოებით. საბჭოთა დონბასი იღებს სამჯერ მეტ ქვანახშირს, ვიდრე ძველი, რევოლუციის წინადროინდელი დონბასი. გაიზარდა უკრაინის მუშათა კლასი. 1913 წელს მსხვილ მრეწველობაში იყო 642 ათასი მუშა, 1937 წლის დამდეგს კი—1.531 ათასი მუშა (უკრაინის მთელ სახალხო მეურნეობაში 5 მილიონამდე მუშაა). მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი განუწყვეტლივ იზრდება. იზრდება სახელმწიფოს დაბანდებანი მუშათა კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სანიტარული მომსახურების ყველა დარგში. წლითიწლობით, თვიდან-თვემდე იზრდება მუშათა კლასის საცხოვრებელი დონე.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ ზღაპრულად გარდაქმნა უკრაინული სოფელი. უკრაინის კოლმეურნეებმა უფასოდ და სამუდამოდ მიიღეს 35 მილიონი ჰექტარი მიწა. ოთხმოცათასზე მეტი ტრაქტორი ხნავს უკრაინის სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნაყოფიერ მინდვრებს, 20 ათასი კომბაინი მუშაობს ამ მინდვრებზე. ათასობით აგრონომები, სოფლის მეურნეობის ტექნიკოსები, მემინდვრეები, შოფერები ეხმარებიან უკრაინელ კოლმეურნეებს თავისი სახნავ-სათესი მიწების უკეთ დამუშავებაში, ამ მიწებიდან სულ უფრო და უფრო მეტი მოსავლის მიღებაში. ოდესღაც ბნელი, ღარიბი უკრაინული სოფელი გაჩირაღდნებულია ელექტროშუქით, დამშვენებულია სკოლების, საავადმყოფოების, კლუბების, თეატრების, საბავშვო სახლების, ბიბლიოთეკების შენობებით. მაძღარი, შეძლებული საამური ხდება უკრაინელ კოლმეურნეთა ცხოვრება.

დიდია ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური უკრაინული კულტურის წარმატებანი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა, გამოიწრთო უკრაინის საბჭოთა ინტელიგენცია. ათიათასობით ინჟინრები, მასწავლებლები, ექიმები, სამხედრო მეთაურები, მფრინავები სიამაყით სთვლიან თავს საბჭოთა უკრაინული კულტურის გამოზრდილებად—იმ კულტურის, რომელზედაც მეფის რუსეთში უკრაინელებს ფიქრიც კი აკრძალული ჰქონდათ. ლიტერატურა, თეატრი, მუსიკა, მხატვრობა, კინო ასე არასოდეს არ გაშლილა უკრაინელი ხალხის ისტორიაში. მათ საპატიო ადგილი უკავიათ საბჭოთა კულტურის ოქროს ფონდში.

თუ რამდენად შორს წავიდა წინ თავის ეკონომიკაში, კულტურასა და ყოფაცხოვრებაში უკრაინა საბჭოთა ოცი წლის მანძილზე, ამის დასანახავად საკმარისია მოვიგონოთ, როგორ ცხოვრობს ჯერ კიდევ ამჟამად დასავლეთ უკრაინა პოლონეთის ფაშიზმის ბატონობის ქვეშ. დასავლეთ უკრაინის მილიონობით დამონებული მუშები და გლეხები შიმშილობენ, იღუპებიან, იხოცებიან უმუშევრობისაგან, უმიწაწყლობისაგან, კაპიტალისტური და მემამულური ექსპლოატაციისაგან. დასავლეთ უკრაინაში ხორცს უკვე დიდი ხანია აღარ სჭამენ. მარილი იქ ფუფუნების საგანია: ერთსა და იმავე მარილწყალში რამდენჯერმე ხარშავენ კარტოფილს. სოფლის პროდუქტების ფასები იმდენად დაეცა, რომ ერთი ლიტრი რძე ერთ კოლოფ ასანთად იყიდება.

ღარიბი გლეხები თვითეულ ღერ ასანთს სამ ნაწილად ჰყოფენ.

პოლონელი შოვინისტები კრძალავენ უკრაინულ წიგნებს, გაზეთებს, თეატრებს, აზრებს, სკოლებს. ხუთ მილიონ უკრაინელისათვის პოლონეთში მხოლოდ 129 უკრაინული დაწყებითი სკოლაა—ნაკლები, ვიდრე რომელიმე საბჭოთა უკრაინულ რაიონში. თვით სიტყვა უკრაინა აკრძალულია პოლონეთის ხელისუფალთა მიერ. ისინი დასავლეთ უკრაინას მცირე პოლონეთს უწოდებენ,—იმის მსგავსად, როგორც ოდესღაც რუსი დიდმპყრობელი შოვინისტები უკრაინას მალოროსიას უწოდებდნენ...

დიდი და კანონიერია ის სიამაყე, რომლითაც დღეს უკრაინელი საბჭოთა ხალხი მიმოავლებს თვალს განვლილ გზას, ბრძოლისა და შრომის ოც წელს. რამდენი დაბრკოლებაა დაძლეული, რამდენი ციხე-სიმაგრეა აღებული, რამდენი მტერია დამარცხებული!

საბჭოთა საზღვრების მცველად რკინის ურყევი კედლითვით დგას მუშურ-გლეხური წითელი არმია. იგი გაანადგურებს მტერს, თუ საბჭოთა უკრაინის საზღვარზე გადმოსვლა გაბედა, და მისივე საკუთარ ტერიტორიაზე საბოლოოდ გაასამტვერებს აგრესორს.

საბჭოთა ხელისუფლების სადამსჯელო ორგანოები, სოციალისტური სამშობლოს ყველა მშრომელის, ყველა პატრიოტის სიყვარულითა და მხარდაჭერით მოსილნი, მყისვე გაუსწორდებიან ყველას, ვინც კი გაბედავს ხელის აღმართვას სსრ კავშირის ხალხთა თავისუფლების, მორალური და პოლიტიკური ერთიანობის წინააღმდეგ, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ.

უკრაინის, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის, ხმის მიცემამ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მსოფლიოს უჩვენა, თუ როგორ აფასებენ სოციალისტური ქვეყნის მილიონობით მასები თავის საზოგადოებრივ წყობილებას, როგორ უყვართ მათ თავისი სამშობლო, როგორი ერთგული და მადლიერი არიან ისინი თავისი ბედნიერების მჭედლისა და საბჭოთა ხომალდის დიდი მესაჭის, უკრაინელი ხალხის ერთგული მეგობრის, მთელი მსოფლიოს ყველა ხალხის, მშრომელებისა და ჩაგრულების ერთგული მეგობრის, მასწავლებლისა და ბელადის—ამხანაგ სტალინისა. საბჭოთა უკრაინის ოცი წლის იუბილე—ეს მისი სიბრძნის, მისი სიმტკიცის, მისი გენიალური ხელმძღვანელობის ახალი გამარჯვებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენიალური პოეტის დიადი იუბილესათვის

აკადემიკოსი ი. ა. ორბელი

„ვეფხის-ტყაოსნის“ რუსული თარგმანის შესახებ

(წერილი ლენინგრადიდან)

თქვენს კორესპონდენტთან საუბარში შოთა რუსთაველის იუბილეს და „ვეფხისტყაოსნის“ პ. პეტრენკოს თარგმანის შესახებ აკადემიკოსმა ი. ა. ორბელმა განაცხადა:

— საქართველოს უდიდესი პოეტის შესანიშნავი ქმნილება ჩვენი თვალის წინ ხდება ქართველი ხალხის ნაციონალური კუთვნილებიდან სსრ კავშირის ყველა ხალხთა კუთვნილებად.

უდიდესი ქართველი პოეტის ქმნილების თარგმნა უაღრესად ძნელი ამოცანაა. მიუხედავად იმისა, რომ შოთა რუსთაველი და მისი პოემა ათეულობით მკვლევართა ყურადღებას იპყრობდნენ, დღემდე მაინც არა გვაქვს ტექსტის მეცნიერული კრიტიკული გამოცემა.

ტექსტის დადგენას საგრძნობლად აძნელებს ის, რომ პოემის უძველესი დაცული ხელნაწერები გადაწერილია პოეტის გარდაცვალებიდან ოთხი საუკუნის გასვლის შემდეგ და რომ გადაწერილი ტექსტების, განსაკუთრებით უფრო გვიან გადაწერილების, უმრავლესობა არსებით სხვადასხვაობას შეიცავს. ადრინდელი ხელნაწერების უქონლობა აიხსნება პოემის განსაკუთრებული პოპულარობით—საუკუნეთა განმავლობაში მისი მრავალჯერ გადაწერით. ეს გარემოება, თავის მხრით, იწვევდა პოემის ტექსტში შემდგომ ჩამატებათა და შევსებათა შეტანას.

ბევრი ეს შემდგომ შეტანილი ტაეპი თავისი შინაარსითა და ხასიათით ეწინააღმდეგება დიდი პოეტის მთელ მსოფლმხედველობას. რუსთაველი თავისუფალი იყო რელიგიურ სახეთა კონკრეტიზაციისაკენ მისწრაფებისაგან და, მით უმეტეს, რაიმე, მუსლიმანური ან ქრისტიანული, ეკლესიურობისაგან. ამიტომ რუსთაველს არ შეეძლო გაეგზავნა თავისი გმირი მიზგითას სალოცავად ან კათოლიკოსისა თუ აწყურის არქიეპისკოპოსისათვის დაემსგავსებინა იგი. რუსთაველის გამოხატულებით გმირი ლოცულობს, მაგრამ თავის ამ ლოცვაში მიმართავს ცის თვალუწვდენელ სამყაროს და მის მნათობებს. გადამწერთა უმწეო ცდები—გაემდიდრებინათ რუსთაველის, ბრწყინვალე შესავალი ხან მისი აზრების უხეირო გადაკეთებით, ხან ისეთი დებულებებით, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება პოეტის უდავო სტრიქონებს, ასევე შეუწყნარებელია ტექსტში, რაც ნ. ი. მარმა ჯერ კიდევ ამ 27 წლის წინათ დაამტკიცა.

შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ იმ ტექსტის გამოცემა, რომელსაც რუსთაველის ინსტიტუტი თბილისში ამზადებს, მკითხველს მისცემს დამახინჯებებისა და ჩამატებებისაგან განთავისუფლებულ ტექსტს. მაგრამ ეს სამუშაო იმდენად ძნელია, რომ საეჭვოა პირველ გამოცემაშივე დამთავრდეს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალმა მოაწყო მუშაობა თარგმნისათვის და ამ საქმეში ჩააბა ნიჭიერი პოეტი პ. ა. პეტრენკო. მან ქართული ენა არ იცოდა, მაგრამ ხელთ ჰქონდა რუსული სიტყვასიტყვითი თარგმანი და ეხმარებოდა კ. ა. ჭიჭინაძე, რომელმაც თარგმანს საფუძვლად დაუდო ტექსტის თავისივე გამოცემა. პოეტის უდროო სიკვდილმა შეუწყვიტა მისი მუშაობა 1601 ტაეპზე. პოემის ბოლო ნაწილი მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის დავალებით სთარგმნა ბ. ი. ბრიკმა.

თარგმნის ზემოთ აღნიშნული სიძნელეები გაზარდა იმ ამოცანამ, რომ თარგმანი ლექსად ყოფილიყო მოცემული. უნდა ითქვას, რომ პ. ა. პეტრენკოს თარგმანი, მიუხედავად იმ ნაკლოვანებებისა, რომლებიც საგრძნობლად იმით აიხსნება, რომ სიკვდილმა არ დააცალა მას დაეხვეწა ენა და ლექსი,—საერთოდ შოთა რუსთაველის პოემის საუკეთესო თარგმანია დედანთან სიახლოვის მხრივ. ბ. ი. ბრიკის თარგმანს დედანთან სიახლოვის თვალსაზრისით მეტი თავისუფლება ეტყობა.

თარგმანზე არანაკლებ საძნელო ამოცანას წარმოადგენს რუსთაველის პოემის დასურათება.

ს. ს. ქობულაძე თავის ნახატებში ცდილობდა გადმოეცა პოემის ძალა, მონუმენტალობა და დინამიკა. რუსთაველის პორტრეტი თავისუფალ კომპოზიციას წარმოადგენს: მისი გამოსახულებებს, თუ ისინი არსებობდნენ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

ე. კ. კვერფელდტმა წიგნის სამკაულებსა და ყდის ნახატში სასტიკად შეიზღუდა თავი რუსთაველის ეპოქის ძეგლებით.

რუსი პოეტების წინაშე, რომლებსაც შოთა რუსთაველის გენიალური პოემა უყვართ, რომლებიც აფასებენ მას, კეთილშობილი ამოცანა დგას: ხელში აიღონ კალამი, რომელიც პანტელეიმონ პეტრენკოს დაუვარდა, და მის მემკვიდრეობაზე თავგამოდებული მუშაობით, იმათთან თანამშრომლობით, ვინც შოთას ენა იცის, შექმნან უკვდავი შოთა რუსთაველის ქმნილების საკადრისი თარგმანი.

მაგრამ ეს მომავლის საქმეა, დრო კი არ იცდის.

ხოლო ჩვენს დროში მუდამ უნდა გვახსოვდეს და უნდა განვახორციელოთ რუსთაველის დიადი აღთქმა:

„რასაცა გასცემ, შენია, რაც არა—დაკარგულია“.

დაე ეს წიგნი დაეხმაროს გენიალური პოემის გადაქცევას საქართველოს ნაციონალური კუთვნილებიდან მთელი დიადი საბჭოთა ხალხის კუთვნილებად. დაე აქაც განხორციელდეს რუსთაველის მშვენიერი სიტყვები:

„რასაცა გასცემ, შენია, რაც არა—დაკარგულია“.

„ვეფხის-ტყაოსნის“ ადრინდელი დამსურათებელი

დ. ჯანელიძე

ოდიშის გამძლავრებულმა მთავარმა ლევან II დადიანმა ტყვედ იგდო იმერეთის მეფის მდივანი, კალიგრაფი და მხატვარი მამუკა თავაქარაშვილი. დატყვევებულ მხატვარს ოდიშის მთავარმა უბრძანა „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერა და გადაწერილის სურათებით შემკობა. მთავრის ბრძანება ტყვე-ოსტატმა 1646 წელს შეასრულა.

მამუკა თავაქარაშვილის 39 ილუსტრაცია მოწმობს, რომ ის უარს არ ამბობს ირანული სტილის ზოგიერთი ხერხის გამოყენებაზე. იგი ამ მხრითაც სავსებით ჯანსაღ ნიადაგზე დგას და სრულიადაც არ არის შეპყრობილი ჯიუტი უარისმყოფლობის საზიანო სენით.

მამუკა, უბრუნდება რა ძველი მინიატიურული და ფრესკული მხატვრობის ჯანსაღ ტრადიციებს, ნახატში ესწრაფვის აზრის გამოხატვას, ირანული სტილის მინიატიურებისათვის ჩვეული სტატიკურობის ნაცვლად ნახატს დინამიკურობით აცხოველებს, სურათში მეტი მოქმედება და ტემპერამენტი შეაქვს, რაც სრულიად განსაკუთრებულ სახეს უქმნის მის შემოქმედებას. თავაქარაშვილისათვის სურათში მთავარია ამბის მოყოლა. ფიგურები ამბისაგან დამოუკიდებლად კი არ არიან დახატული, არამედ ამბის მომქმედ პირებად მოსჩანან. ამ მხრივაც იმდროინდელ მინიატორულ მხატვრობაში თავაქარაშვილი ნოვატორობას იჩენს.

მამუკა დიდ ყურადღებას აქცევს გმირების ფსიქოლოგიურ დახასიათებას, მათი სულიერი განწყობილების აღქმას და გადმოცემას. ამიტომაც არის, რომ თავაქარაშვილის ნახატები უძლებენ № 5006 ხელნაწერის დამსურათებელი უცნობი ოსტატის შესანიშნავ ილუსტრაციებთან შედარებასაც კი. მამუკას კალამი მეტ სიცხოველეს, მეტ სითბოს და ამბის მიწვდომაში მეტ სიმარჯვეს ამჟღავნებს. თავაქარაშვილის არცერთი ნახატი არ არის დატვირთული ირანული ყაიდის მინიატურისათვის ჩვეული, წვრილმანი იწილო-ბიწილო დეტალებით. პირიქით, მამუკას მთავარისა და არსებითის გამორჩევის უნარი გააჩნია. ამიტომაცაა, რომ მისი ნახატი მსუბუქია და ადვილად ასათვისებელი.

მამუკას ნახატებში იმ დროისთვის დამახასიათებელი ტენდენცია ჩანს. ხუცები ებრძოდნენ „ვეფხისტყაოსანს“, როგორც „სამძღო“ და „წარსაწყმედ“ წიგნს და, თითქოს ამის საპასუხოდ, თითქოს რუსთაველის უკვდავი ქმნილების დასაცავად, მამუკა ხატავს „ავთანდილ მიზგითას ილოცავს“ (იხ. კაკაბაძის გამოც. გვ. 96) — ავთანდილს ეკლესიასთან ჯვარზე ალოცებს და მით სურს დაამტკიცოს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის შესაჩვენებელი და „დასახევი“, რომ ის „საღმრთოა“.

„ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაში მამუკამ, როგორც იმდროინდელი რეალიზმის წარმომადგენელმა და ნაციონალური თემატიკით გატაცებულმა მხატვარმა, სრულიად ახალი მოტივები შეიტანა. მან რუსთაველის პოემა ქართული ყოფა-ცხოვრებისა და ქართველი გმირების ამსახველ ნაწარმოებად გაიგო და ამიტომაც ყოველი მისი ილუსტრაცია მისი თანამედროვე სამეგრელოს ყოფაცხოვრების ზედმიწევნით ამსახველი დოკუმენტია.

თავაქარაშვილზე რამდენიმე წლით ადრე სამეგრელოში მხატვრობდა პატრი კასტელი. საფიქრებელია, რომ მის ნახატებს მამუკა იცნობდა და შეიძლება მისი რეალისტური წერის მანერა კასტელისაგანაც იყოს ნასესხები.

მ. თავაქარაშვილი შ. რუსთაველის დღემდე ცნობილი ყველაზე ადრინდელი პორტრეტის დამწერია. მის ნახატზე გამოსახულია უწვერული შოთა, რომელიც თავის მდივანს კარნახით აწერინებს „ვეფხის-ტყაოსანს“.



ნახ. ი. გაპნერისა

რაჟდენ გვეტაძე

„ვეფხის-ტყაოსნის“ პირველი ასოთამწყობი

წიგნი დაუსტამბავი
პირველად შენ გაკაფე,
და მოქარგე ამბავი
ვით ნესტანის საკაბე.

პწკარი-პწკართან ნალაგი
ჰგავდა მინდორს დაბარულს.
ხოლო სტამბის ალაგი
ჯურღმულს, ბნელით დაფარულს.

ჭრაქზე, როგორც მარტვილი
ტეხდი ღამეს სათევარს.
და ნატრობდი მარტივათ
ტარიელის სატევარს.

ხან ასოებს, ვით წნორებს,
დასცქეროდი ნალამი.
თან აწყობდი—ნასწორებს
ვახტანგ მეფის კალამით.

ხან უსმენდი ავთანდილს
მის სიმღერას რაინდულს.
თინათინის მანდილი
შენც გხიბლავდა გარინდულს.

ხანაც თვითონ მღეროდი
აჯას, ხელაპყრობილი.
მზის ამოსვლას ელოდი
ლექსით მთლად დაპყრობილი.

ხან კვლავ დაბეჯითებით
იყავ შოთას მწყობელი.
მისი წიგნი დაბეჭდე,
წიგნი გმირთა მკობელი.

ასე, როგორც მარტვილი
ტეხდი ღამეს სათევარს,
და ნატრობდი მარტივათ
ტარიელის სატევარს.

თუმცა სიტყვის სეფენი
გვირგვინს ეურჩებიან,
და კვდებიან მეფენი
პოეტები რჩებიან —

მაგრამ როცა დახატე
სიბრძნე თვალ-ასახელი,
შენ უკვდავი გახადე
ვახტანგ მეფის სახელიც.

მიქელ პატარიძე

წიგნის ბედი

ერთმა ასულმა გადასწერა ჩემი შაირი,
ხშირად კალამი შერჩებოდა უძრავად ხელში.
ელანდებოდა სურათები ათასნაირი,
ჩაფიქრდებოდა ცრემლიანი და მძიმე ხვნეშით.

უკან მისდევდა ავთანდილს და გაჭრილ ტარიელს
და გადამწერმაც ტარიელთან განგმირა ვეფხვი,
ქაჯთა ციხიდან დაჰყურებდა კლდეთა დარიალს
და კანკალებდა, ვით ტყის პირად მოჭრილი ვერხვი.

ასე იშრომა, — იოცნება სამი ზამთარი
თავის ტარიელს ლაშქრობიდან ელოდა იგი,
როცა დაბრუნდა მისი გულის დიდი სარდალი,
მზეთუნახავსაც სამზითევო მზად ჰქონდა წიგნი.

გავიდა წლები... და მე წლობით არ მცემდნენ ხმასა,
ხან ნანგრევებში გადაკარგულს არ მყავდა მცველი,
თუ მიპოვიდა ვინმე ნინო, ან ვინმე ასმათ,
კვლავ გათბებოდა ეს ფურცლები მიჯნურის ცრემლით.

ერთხელ სალაშქროდ მეომარმა წამიღო თანა,
აღტაცებული ჩემს შაირებს ეტყოდა „ვაშას“
როცა დაცემულს მოუღერა მტარვალმა დანა,
ჩემი მკითხველი მოკვდა როგორც შეშვენის ვაჟკაცს.

გამარჯვებულ მტერს ერთხელ ვერგე, როგორც ნადავლი.
თოფის სატენად მომაგლიჯა გარე ფურცლები.
ერთი მონა და ერთი თოფი იყო ბადალი,
გამოსყიდული კვლავ დავბრუნდი სიტყვაუცვლელი.

ერთხელ ვიხილე იდუმალად მწირის საკანი
და სახარება არ უფურცლავს მონაზონს შემდეგ.
მესმოდა ქალის გატაცება, ქალის კანკალი,
როცა ტყვედქმნილსა შაირების მშვენებას ვენდე.

ჭირში და ლხინში ქართველ კაცის ხშირი სტუმარი,
ჩემი შაირი ამშვენებდა სიმღერის ჰანგებს,
შვიდასი წლისამ სიცოცხლეზე ვერ ვსთქვი უარი
და საბჭოეთის მოქალაქის ცხოვრებას ვაგნებ.

უწინ დევნილი, იშვიათი, ძვირფასი ნივთი
დღეს მილიონებს ჩემი თავი გაუზიარეს,
ძმათა ენებზე ორეულებს ხალისით ვითვლი
და ათას ჰანგზე ჩემი ლექსი ახლა ზრიალებს.

კ. ჭიჭინაძე

შოთა რუსთაველი და მისი პოემა

ესე ამბავი სპარსული,
ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი,
ხელი-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი,
საქმე ვქმენ საჭოჭმანები...

სწერს შ. რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისში.

მიუხედავად ბევრი ცდისა, ირანულ ლიტერატურაში და ზეპირსიტყვაობაში დღემდე არ აღმოჩენილა რუსთაველის პოემის მსგავსი რამ. ძნელი დასაშვებიც არის, რომ ირანელ პოეტებს, რომლებიც, თემებისა და სიუჟეტის ძებნაში ხშირად გადამღერებას, გადამუშავებასა და გადმოღებას მიმართავდნენ, გვერდი აევლოთ „ვეფხისტყაოსნის“ უაღრესად საინტერესო ფაბულისათვის, თუ კი ის ცნობილი იქნებოდა მათთვის.

საზოგადოდ კი ირანული ლიტერატურის გავლენა რუსთაველის შემოქმედებაზე უდავო ფაქტია. ამის დამადასტურებელია არა მარტო პოეტის ლექსიკა, რომელიც აქა-იქ შეიცავს ირანულსა და არაბულ სიტყვებს, არამედ წერის თვით მანერა, ფერადოვანი და მოზაიკური, მდიდარი მეტაფორებითა და აღმოსავლური წარმოშობის სენტენციებით, აგრეთვე პოემის არქიტექტონიკა და კოლორიტი. თვით პოეტი რამდენჯერმე ადარებს თავის გმირებს ირანული ლიტერატურის ცნობილ ნაწარმოებთა, განსაკუთრებით „შაჰნამის“ და „ვისრამიანის“ გმირებს. რუსთაველი მსოფლმხედველობით განსხვავდება მუსლიმანური აღმოსავლეთის პოეტებისაგან, მაგრამ მსოფლშეგრძნობით მათთან უეჭველად ბევრი საერთო აქვს. აღსანიშნავია, რომ რუსთაველი იხსენიებს ირანული ლიტერატურის მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებთ, ხოლო აღმოსავლეთის სამეცნიერო და რელიგიური აზრის არცერთ წარმომადგენელზე არაფერს ამბობს; სამაგიეროდ, პოემაში ვხვდებით ელინელ ფილოსოფოსთა სახელებს, მაგრამ არ არის ხსენებული ამ ქვეყნის პოეტთა რომელიმე ნაწარმოები.

რუსთაველს თუ ირანელ პოეტებს შევადარებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ისინი თავის შემოქმედებაში, შესაძლებელია, მხოლოდ ომარ ხაიამის გამოკლებით, უფრო ელემენტარული და მარტივი არიან, ვიდრე „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი.

რუსთაველი გაცილებით უფრო რთულ სიუჟეტსა და რომანის სიტუაციებს ჰქმნის. იგი ღრმა ცოდნას იჩენს ადამიანთა გრძნობების გამოხატვაში, ეხმაურება ცხოვრების მრავალფეროვან მოვლენებს.

პოემის მთავარი გმირების სიყვარულის აღწერის დროს რუსთაველი ერიდება ფუქსავატურ ტონს, უხეში ფიზიკური ზრახვების გამომჟღავნებას. ამ მხრივ საინტერესოა პარალელის გავლება რუსთაველსა და ფირდოუსს შორის. როდესაც თურანის მეფის ასულთან, ზურაბის მომავალ დედასთან, შემთხვევით სტუმრად მიდის შესანიშნავი გმირი გოლიათი როსტომი, მეფის ასული სწრაფლ აღიგზნება ვნებით ამ ბუმბერაზისადმი, რომელიც შუბით ღრუბლებსა ჰკვეთს ცაში და სადილობის დროს ვერ ძღება მთელი კანჯრით. მეფის ასული ფარულად შეიპარება ღამით როსტომის საწოლ ოთახში, განუმარტავს მას თავისი გრძნობების ბიოლოგიურ მიზეზებს და იზიარებს სტუმრის სარეცელს ერთი ღამით.

რუსთაველის პოემაში ამის მსგავსს ვერაფერს ნახავთ. როდესაც ტარიელი პირველად დაინახავს მეფის ასულს ნესტან-დარეჯანს, რომელიც ბავშვობაში მასთან ერთად იზრდებოდა, გაოცდება მისი არაჩვეულებრივი სილამაზით და გონებას ჰკარგავს. რამდენიმე დღის შემდეგ ნესტან-დარეჯანი, თვით გატაცებული ტარიელისადმი შორი ტრფობით, მოახლე ასმათის დახმარებით საიდუმლოდ მიიწვევს ტარიელს. მათდა უნებურად ამ პირველმა სამიჯნურო პაემანმა სრულ დუმილში გაიარა: ვერცერთმა მათგანმა სიტყვაც ვერ დასძრა.

ნესტან-დარეჯანი, რომელიც მიჯნურთან შეხვედრის დროს ისე იბნევა, რომ სიტყვის უნარსაც ჰკარგავს, განსაცდელში რომ ჩავარდება, არაჩვეულებრივ სიმტკიცესა და სულიერ გმირობას იჩენს. შესანიშნავ წერილში ტარიელისადმი იგი სრულ თავგანწირვამდე მიდის საყვარელი ადამიანის გულისათვის, უმაღლეს სულიერ სილამაზეს აღწევს. დატყვევებული ქალი სწერს ტარიელს:

„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ
კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა,
ჰაერთა თანა ძრომასა;
მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე,
მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვხედვიდე
მზისა ელვათა კრთომასა!
მზე უშენოდ ვერ იქმნების,
რადგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას იახლე, მისი
ეტლი არ თუ წბილი;
მუნა გნახო, მანდვე, გნახო,
განმინათლო გული ჩრდილი.
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა,
სიკვდილიმცა მქონდეს ტკბილი“.

ნესტან-დარეჯანის ეს წერილი, რომლის მსგავსი არ დაუწერია არცერთ ლიტერატურულ გმირ-ქალს, საუკეთესო ილუსტრაციაა რუსთაველის ერთი მოკლე ფრაზისა: „სიყვარული აგვამაღლებს“.

„ვეფხისტყაოსანში“ დახატული სიყვარულის უმაღლესი გრძნობები, დიადი მეგობრობის კულტი, ადამიანთა სიქველე, ადამიანური ღირსებისა და სახელისათვის თავგანწირული ბრძოლა, პოეტის მახვილი დაკვირვებანი და ბრძნული შეფასება ცხოვრების მოვლენებისა, რაც ხშირად თანამედროვეობის რელიგიურ ცრუმორწმუნეობისა და ფანატიზმის წინააღმდეგაა მიმართული, უფლებას იძლევა რუსთაველი ჩაითვალოს იმ დიდი ეპოქის წინამორბედად, რომელმაც თავისი ჰუმანიტარული იდეების შუქით კაცობრიობა საშუალო-საუკუნეობრივი წყვდიადიდან გამოიყვანა და შემდგომი განვითარების გზაზე დააყენა.

რუსთაველის პოემის გმირები მაჰმადიანებად არიან გამოყვანილი, მაგრამ ეს მხოლოდ ნომინალურად, ვინაიდან პოეტი სრულიად ინდიფერენტულად უქცევს რელიგიის ყოველგვარ გარეგან წესებს. ღმერთი პოემაში წარმოდგენილია ზოგადად, ისე, როგორც მას გვიხატავენ უმთავრესი მონოთეისტური სარწმუნოებანი. რუსთაველის კონცეპციით, ღმერთი ერთია, რომელმაც „შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“, ღმერთი არის ძალა, დაუშრეტელი წყარო სიცოცხლისა და მოძრაობისა. ასეთ ღმერთს მიმართავს რუსთაველი პოემის დასაწყისში. ასეთსავე ღმერთს ევედრება მიზგითას მისული ავთანდილი.

რუსთაველის ნაწარმოების მიხედვით ძნელია წარმოდგენა იმისა, თუ როგორი იყო თანამედროვე, რეალური ცხოვრება. რუსთაველი, მაგალითად, არ დაიწყებს ჰომეროსის მსგავსად აღწერას, თუ რისგან და როგორ არის გაკეთებული მისი გმირის ფარი ან შუბი. ის არა ჰგავს ამ მხრით არც „ნიბელუნგების“ ავტორს, რომელიც თავისი პოემის მრავალ ადგილას დაწვრილებით ასახავს ჩვეულებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს: გვაცნობს, რას სჭამენ მისი გმირები, რა წესით სხდებიან სუფრაზე, როდის წვებიან და დგებიან ლოგინიდან, რას წარმოადგენს მათი საწოლი, და აქვთ თუ არა ძვირფასი ქსოვილის შარაგი, ამა თუ იმ შემთხვევისათვის კარგი ტანისამოსი რომ შეიკერონ. მისტიკური და განყენებული დანტეც კი თავის კომედიაში თანამედროვე ეპოქის უფრო კონკრეტულ სახეებს იძლევა, ვიდრე რუსთაველი. რუსთაველი საზოგადოდ გვერდს უვლის ყოველდღიურობის საკითხებს. მას აინტერესებს მხოლოდ წმინდა სახით მოცემული ადამიანთა ურთიერთობა და ადამიანის ძირითად გრძნობათა ხასიათი. ჰიპერბოლისა და საღებავთა გამუქების გზით რუსთაველი მუდამ ცდილობს ხაზგასმით გვიჩვენოს მთავარი მხარე მის მიერ ასახული მოვლენებისა და აყვანოს იგი პრინციპულ სიმაღლემდე. მხოლოდ შემთხვევით თუ წამოსცდება მას ესა თუ ის ფრაზა, რომელიც თანამედროვე ცხოვრების რომელიმე მხარეს შეეხება. ამის გამო თითქმის ყველაფერი გამოსაცნობი ხდება, რაშიაც ხელს გვიწყობს პოემის საერთო სტილი, მისი ენერგიული მაჯისცემა, გულადი და ბრწყინვალე გმირები, რომლებიც ბედუკუღმართობაშიაც ატარებენ რაინდობის ნიშანს, უეჭველად დამახასიათებელ ნიშანს თამარ მეფის ეპოქის ფეოდალური წოდებისათვის.

მაგრამ მაინც რით უნდა აიხსნას „ვეფხისტყაოსნის“ გამძლეობა და მარადი სიახლე? ამ საკითხზე პასუხის მისაცემად ჩამოვთვალოთ ამ უკვდავი პოემის ღირსებანი:

მომქმედ პირთა გრძნობების სიძლიერე და სიღრმე, წარმტაცი ფაბულა, სიუჟეტის ოსტატური დამუშავება, და, ბოლოს, ლექსის ბრწყინვალე ფორმა.

რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისში, იმდროინდელი პოეტებისათვის სავალდებულო ღვთისა და მეფის ქებადიდების შემდეგ, საკმაო ვრცლად გამოსთქვამს თავის შეხედულებებს სიყვარულზე, რომელიც მთელი პოემის ლეიტმოტივს წარმოადგენს, აგრეთვე პოეზიაზედაც.

პოეზიის შესახებ რუსთაველი ამბობს: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“. პოეზიის დამახასიათებელ თვისებად სთვლის დიდი აზრის მოკლედ გამოკვეთას: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“.

პოეტის მოწოდებად და ტალანტად იგი სთვლის უნარს — გააღვიძოს მაღალი გრძნობები, აღანთოს პოეტური სიტყვით ადამიანთა გული. თუმცა რუსთაველი მკვეთრად გამიჯნავს პოეზიაში ვრცელსა და მცირეს, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს: „სანადიმოდ, სამღერალოდ, სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად“ ნათქვამი ლექსიც სასიამოვნოა, თუ კი აზრი ნათლად იქნება გამოთქმული.

თავის შეხედულებას პოეზიაზე, მის ამოცანებსა და დანიშნულებაზე რუსთაველი თანმიმდევრულად ანხორციელებს პოემის მთელ მანძილზე. მისი ენა ლაკონიკურია, პოეტი მართლაც იშვიათი ოსტატობით აღწევს ვრცელი აზრის მოკლედ გამოთქმას.

უდიდეს ყურადღებას იპყრობს რუსთაველის სტილის მეტაფორულობა. რუსთაველი მეტაფორის უდიდესი ოსტატია. არისტოტელი თავის პოეტიკაში ამბობს: „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მეტაფორებში იყო დახელოვნებული, სხვებისგან მხოლოდ ამის გადმოღება არ არის შესაძლებელი, და ეს უნარი არის ტალანტის ნიშანი. კარგი მეტაფორების შექმნა ხომ მსგავსებათა მიგნებას ნიშნავს“.

რუსთაველის გაშლილი მეტაფორა ხანდახან პოემის მთელ სტრიქონებს ჰფარავს, არის შემთხვევები, როდესაც მეტაფორა მთელ სტროფს ავსებს თავიდან ბოლომდე და მაშინ არც ისე ადვილია მისი შინაარსის მიხვედრა. მაგალითად, მტირალ ნესტან-დარეჯანს პოეტი ასე აგვიწერს:

„შინა შევედი, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები,
შიგან მელნისა მორევსა ეყარის გიშრის შუბები,
მელნისა ტბათა ილვრების სავსე სათისა რუბები,
ზუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუბები“.

პოემა თექვსმეტმარცვლოვანი დაბალი და მაღალი შაირით არის დაწერილი, რომელნიც კანონზომიერების დაუცველად ენაცვლებიან ერთმანეთს. რუსთაველი შაირის იშვიათი ოსტატია. რაში გამოიხატება ეს ოსტატობა? განსაკუთრებით, ლექსის ხმოვან ორკესტრობაში, ალიტერაციებსა, ასონანსებსა და მდიდარ რითმებში:

რუსთაველი დიდ ყურადღებას აქცევს ლექსის მუსიკას, მაგრამ იმავე დროს თითქმის არასოდეს არ ივიწყებს, რომ ჭეშმარიტ ჰარმონიულ სიტყვათა წყობაში ლექსიკა უნდა იმყარებოდის სიტყვების ფრთხილად შერჩევას მათი აზრობრივი მნიშვნელობის მიხედვით.

* * *

რუსთაველის პოემაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აგრეთვე ეტიმოლოგიური ფორმებისა და ლექსიკის სიმდიდრე. მთელი პოემა დაახლოვებით შეიცავს 45.000 სიტყვას, საიდანაც 15.000-ზე მეტი სიტყვა არის მორფოლოგიურად ძირითადი.

თუ შევადარებთ თამარ მეფის ეპოქის ცნობილ მეხოტბეებს,—ჩახრუხაძესა და შავთელს, უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსთაველმა მათი გაცვეთილი და მაღალფარდოვანი სტილი შესცვალა ნამდვილი მაღალი სტილით, საბოლოოდ დაასამარა მათ მიერ დადგენილი ლექსის ზომა და გაბატონა შაირი, რომელიც შემდგომ ხუთი საუკუნის მანძილზე ძირითადი მეტრი იყო მთელ ქართულ პოეზიაში.

რუსთაველმა გაამარტივა თავისი დროის პოეტური ენა. მას ემარჯვება, როგორც მაღალი სტილი, ისე ბრწყინვალე ხალხური გამოთქმები, რომლებიც არ გვხვდება მისი დროის არა თუ პოეზიაში, არამედ პროზაშიაც.

ისევ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს ღირსება, სტილისა და ლექსთაწყობის ოსტატობა რუსთაველის პოემაში გამოყენებულია მხოლოდ დიდი და ღრმა შინაარსის გასაფორმებლად. რუსთაველი იმით განსხვავდება მრავალ, შეიძლება დიდ ეპიკურ პოეტებისგან, რომ ყოველ სტროფს ავსებს შინაარსით და აძლევს გარკვეულ მიზანსწრაფვას პოემის სიუჟეტურ სისტემაში.

მსოფლმხედველობის მხრივ რუსთაველი, ჩვენის აზრით, არ არის რომელიმე განსაზღვრული ფილოსოფიური სკოლის მოძღვრების გამტარებელი. ის მხოლოდ ღრმად განათლებული პოეტია, რომელიც არათუ დგას თავისი ეპოქის სიმაღლეზე, არამედ ამასთანავე ანტიკური ქვეყნისა და მუსლიმანურ-ქრისტიანული საშუალო საუკუნეების კულტურათა სულიერი მემკვიდრეა.

პოეტის ამ ფართო განათლებით და დიდი ნიჭით აიხსნება მისი აზრთა სიუხვე და მომხიბლავი მრავალფეროვნება ადამიანის ძირითად გრძნობათა ასახვაში.

◆

ტერუელის აღება რესპუბლიკური ესპანეთის ზეიმია

ბარსელონა, 22 დეკემბერი (საკდესი). ესპანელი ხალხის ზეიმი ტერუელის აღების გამო აუწერელია. ყველა ქალაქიდან მოდის ამბავი მოსახლეობის აღფრთოვანების შესახებ. თვით ტერუელში მოსახლეობამ ჯარისკაცებთან ერთად გაავსო ქუჩები. დაუსრულებლად გაისმის მისალმებები რესპუბლიკისა და სახალხო არმიისადმი.

ტერუელის აღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ეს პირველი პროვინციული ცენტრია, რომელიც უკან დაიბრუნა რესპუბლიკურმა არმიამ. ფაშისტებმა ქალაქი პირველხარისხოვან ციხედ აქციეს და, ამის მიუხედავად, იგი აღებულ იქნა ერთი კვირის განმავლობაში. ოპერაცია ბრწყინვალედ იყო მომზადებული და ეს მომზადება სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც მოწინააღმდეგისთვის, ისე მისი აგენტურისთვისაც—ტროცკისტი ჯაშუშებისათვის პოუმიდან.

ამ ბრწყინვალე ოპერაციის შესრულების დროს რესპუბლიკელთა არმია ორ ფრონტზე იბრძოდა: მეამბოხეთა წინააღმდეგ, რომელთაც ტერუელის გარშემო მოიყარეს თავი, და მათთვის დასახმარებლად გაგზავნილი ახალი ძალების წინააღმდეგ. ჯარის ყველა ნაწილებში, რომლებმაც ეს ოპერაცია ჩაატარეს გმირობა და ჩინებული მომზადება გამოამჟღავნეს. ტერუელის აღების შესახებ გენერალმა მიახამ შემდეგი განაცხადა:

„ტერუელის აღებას განსაკუთრებული საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი იმ მომენტში მოხდა, როდესაც ფაშისტებმა გამოაცხადეს დიდი შეტევის შესახებ სწორედ ამ ფრონტზე. მან დაგვანახვა ძლიერება სახალხო არმიისა, რომელსაც უნარი და ძალა შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრილ უცხოელთა არმიებს.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ გამარჯვებას თვით ესპანეთისათვის. სახალხო არმიის ჯარისკაცებმა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტი დაიკავეს. ესპანეთის რესპუბლიკამ ერთი დამარცხება კიდევ აგემა იტალიის არმიას“.

დაწვრილებითი ცნობები

პარიზი, 23 დეკემბერი (საკდესი). 21 დეკემბერს, ღამის 2 საათზე, ესპანის სააგენტომ გადმოსცა ესპანეთის ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს შემდეგი ოფიციალური კომუნიკე:

„ლევანტის არმია“. 21 დეკემბრის დღე დამთავრდა რესპუბლიკელთა ჯარების ტერუელში შესვლით.

მრავალრიცხოვანმა დამხმარე ძალებმა, რომლებსაც მეამბოხეთა სარდლობა სასწრაფოდ გზავნიდა ტერუელის ფრონტზე, დილიდანვე თავგანწირულად სცადეს გაერღვიათ რომელიმე პუნქტში რესპუბლიკელთა ჯარების ხაზი და დახმარება აღმოეჩინათ ტერუელში ალყაშემორტყმული მეამბოხეთათვის. მთელი ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა. რესპუბლიკელთა ჯარები იბრძოდნენ და ერთი ნაბიჯითაც არ იხევდნენ უკან, მთლიანად ინარჩუნებდნენ თავიანთ პოზიციებს, მეთოდურად მიიწევდნენ წინ ქალაქისაკენ.

მტერმა პირველი იერიში დილის 9 საათზე მოიტანა. იერიშს წინ უძღოდა რესპუბლიკელთა პოზიციების ინტენსიური ბომბარდირება ალტადე ველადასთან. მეამბოხეთა ბატარიები მოთავსებული იყო სეროგორდოსთან. მიუხედავად უკიდურესი გაავთრებულობისა, ეს იერიში, რომელსაც აწარმოებდა მეამბოხეთა ოთხი ბატალიონი ადვილად მოიგერიეს რესპუბლიკელთა ჯარებმა, რომელთაც რეზერვების დახმარებისთვისაც კი არ მიუმართავთ.

ნაშუადღევს მოწინააღმდეგე ამაოდ ეძებდა ყველაზე სუსტ პუნქტს რესპუბლიკელთა ჯარების ხაზზე. მეამბოხეთა მეორე იერიში მიმართული იყო ვილია ალბა ბახოდან მომავალი გზის წინააღმდეგ. ჩვენმა ჯარებმა არა მარტო მოიგერიეს ეს იერიში, არამედ გადავიდნენ კონტრიერიშზე და გაანადგურეს მეამბოხეთა მთელი ასეული. მეამბოხეები განაგრძობდნენ ახალი რეზერვების გაგზავნას ფრონტის ამ უბანზე. კაუდში გაგზავნეს ოთხი ბატალიონი და რამდენიმე ესკადრონი. ამ სოფელს სულ არტილერიის ყუმბარებს უშენდნენ რესპუბლიკელები. მეამბოხეები ცდილობდნენ ხელახლა ჩაეგდოთ ხელში წინასაღამოს დაკარგული სასაფლაო და ოთხჯერ მიიტანეს იერიში განსაკუთრებული გაავთრებით, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს და ამ იერიშების დროს დაჰკარგეს 200 კაცი. ამ ოპერაციებთან ერთად რესპუბლიკელების სხვა ძალებმა, რომლებიც განაგრძობდნენ შეტევას ტერუელზე, მტრის წინააღმდეგობა სძლიეს რამდენიმე პუნქტში და წინ წასწიეს ჩვენი პოზიციები. დაემყარნენ რა ამ ახალ პოზიციებს, რესპუბლიკელთა ძალები 16 საათზე გადავიდნენ შეტევაზე იმ მიზნით, რომ დაეკავებინათ მოედანი ტოროსი და აგრეთვე ტერუელის აღმოსავლეთი ნაწილი. ჯერ კიდევ დაღამებამდე რესპუბლიკელთა ნაწილებმა რამდენიმე სახლი დაიკავეს ტერუელის გარეუბანში და, მეამბოხეთა ინტენსიური ცეცხლის მიუხედავად, დაიძრნენ ქალაქისაკენ ვიადუკის ქვეშ. №-ის საარმიო კორპუსმა იერიშისათვის იგივე პუნქტები ამოირჩია, სადაც მეამბოხეები წინადღით ცდილობდნენ კონტრიერიშზე გადასულიყვნენ კასტელიარისა და სან ბლასშუა. რესპუბლიკელთა ქვეითი ჯარი ხელყუმბარებით იბრძოდა. ეს ბრძოლა ერთერთი უბრწყინვალესი ოპერაცია იყო უკანასკნელ ოპერაციებს შორის. მეამბოხეებმა, რომელნიც გაძლიერებით იყენებდნენ არტილერიას ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწიეს წინ და დიდი ზარალი მოუვიდათ.

რესპუბლიკელთა ჯარების კოლონა, რომელიც ვილიასტარიდან მომავალ გზაზე მოქმედებდა დაუსვენებლივ იბრძოდა მთელი დღის განმავლობაში. ჩვენი სანგრებიდან სჩანდა, როგორ გამოდიოდნენ სანგრებიდან და მირბოდნენ ტოროსის მოედნისაკენ, მეამბოხეთა ჯარისკაცები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ელ მანსუეტეს დაცვა. მეამბოხეთა ოფიცრები რევოლვერით ხელში აიძულებდნენ ჯარისკაცებს ხელახლა დაბრუნებულიყვნენ სანგრებში.

ამ ბრძოლების დროს რესპუბლიკელთა არტილერია განუწყვეტლივ უშენდა ყუმბარებს ტერუელს. ქალაქის ბომბარდირება დიდი სიძლიერით ხდებოდა, რასაც მოწმობს მრავალ ადგილას გაჩენილი ხანძარი.

რესპუბლიკელთა ავიაცია დაბლა ფრენით განუწყვეტლივ უშენდა ტყვიამფრქვევს მეამბოხეთა ჯარებს. დაახლოებით 15 საათზე შტაბმა მიიღო № საარმიო კორპუსის სარდლის ცნობა რესპუბლიკელთა ჯარების ტერუელში შესვლის შესახებ.

რესპუბლიკელთა ჯარების ქალაქში შესვლის წინ მეამბოხეებს შორის დიდი პანიკა დაიწყო. ჩვენი მეომრები ოფიცერთა მრავალ ნიშანს პოულობენ, რომლებიც ოფიცრებმა ამჯობინეს თავიდან მოეშორებინათ, რადგანაც ველარ გაუძლეს რესპუბლიკელთა ნაწილების შეტევას და გაიქცნენ.

მეამბოხეთა ძალები, რომლებიც ხიდს იცავდნენ, უწესრიგოდ გაიქცნენ. მეამბოხეთა ნაწილი ტყვედ ჩაიგდეს ხელში.

ტერუელის სტრატეგიული მნიშვნელობა

ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა აღნიშნა: „მთელი რესპუბლიკური ესპანეთი რომ მიუვალ სიმაგრედ გადაიქცეს, საჭიროა ხალხის დარაზმვა სახალხო ფრონტის სწორი პოლიტიკის საფუძველზე. მადრიდის, გვადალახარის, ბელჩიტეს მაგალითები გვიჩვენებენ ჩვენ გზას“. ამას მიემატა კიდევ ერთი უშესანიშნავესი გამარჯვება — რესპუბლიკელების მიერ ტერუელის აღება 21 დეკემბერს.

ტერუელის აღება რესპუბლიკელთა უდიდეს მიღწევას წარმოადგენს.

ჯერ-ერთი, ამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის დაკარგვა კიდევ უფრო გააძლიერებს მეამბოხეთა რიგებში დემორალიზაციას, რესპუბლიკელთა შორის კი—ენტუზიაზმს. მეორე—მეამბოხეებს მოუხდებათ საგრძნობად შესცვალონ თავიანთი სამხედრო მოქმედების გეგმა აღმოსავლეთის ფრონტზე.

ტერუელი ძევს მადრიდსა, ვალენსიასა და ბარსელონას შორის. ვალენსიას ის დაცილებულია 130 კილომეტრით, მადრიდს—330 კილომეტრით, სარაგოსას—240 კილომეტრით. მეამბოხეები თავის დროზე ტერუელის აღებით დიდ საფრთხეს უქმნიდენ ვალენსიასა და მადრიდს. ცდილობდნენ გადაეჭრათ ხაზი ვალენსიასა და მადრიდს შორის და ეს ორი მიუვალი ციხესიმაგრე მოეწყვიტათ ერთმანეთისაგან. მეორე მხრით, მეამბოხეებს ნიშანში ჰქონდათ ამოღებული კავშირის გაწყვეტა ვალენსიასა და ბარსელონას შორის. ამ გეგმის განხორციელებით მეამბოხეების განზრახვა იყო — დაექსაქსათ რესპუბლიკური ესპანეთის ფრონტები და შეესუსტებინათ მათი სამხედრო ძლიერება. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანის დასაჩქარებლად მეამბოხეებმა ცენტრალურ და აღმოსავლეთის ფრონტებზე თავი მოუყარეს ძირითად ძალებს ჩრდილოეთის ფრონტიდან.

რესპუბლიკელებმა 15 დეკემბერს დაიწყეს შეტევა, რაც დასაწყისიდანვე დიდი წარმატებით ვითარდებოდა. მეამბოხეები მათ ძლიერს წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ რესპუბლიკელთა მოფიქრებული, გაძლიერებული სამხედრო ოპერაციები, მოტორიზებული ნაწილებისა და ავიაციის აქტიური მოქმედებით, თანდათან ასუსტებდა მტრის წინააღმდეგობის უნარს.

მაგრამ თუ ტერუელი რესპუბლიკელებმა მთლიანად მაინც ვერ აიღეს 21 დეკემბრამდე, ეს ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ რესპუბლიკურმა მთავრობამ ნება დართო და დრო მისცა მშვიდობიან მოსახლეობას ევაკუაციისათვის, აგრეთვე საშუალება მისცა მეამბოხეთა მეომრებს, რომელთაც სურდათ სიცოცხლის შენარჩუნება, წესიერად ჩაებარებინათ იარაღი მთავრობისათვის.

რესპუბლიკელების მიერ ტერუელის აღება ახალ ეტაპს წარმოადგენს მეამბოხეების წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ტერუელის აღება რესპუბლიკელთა ჯარების დარაზმულობისა და შეუპოვრობის შედეგია. ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკელთა გმირული სახალხო არმია თავისი კიდევ უფრო მეტი დარაზმულობით უზრუნველჰყოფს კიდევ ახალი გამარჯვებების მოპოვებას და მეამბოხეებზე რესპუბლიკური ესპანეთის სრულ გამარჯვებას.

ა. ნ.

ესპანეთის კომპარტიის მისალმება ტერუელის აღების გამო

ბარსელონა, 22 დეკემბერი (საკდესი). ტერუელის დაცემასთან დაკავშირებით ესპანეთის კომპარტიამ მგზნებარე მისალმებით მიმართა ლევანტის არმიასა და მთავრობას. მისალმებაში ნათქვამია:

„აღვნიშნავთ რა, რომ ჩვენს განკარგულებაში ახლა არის არმია, რომელსაც აქვს ტერუელის დაპყრობის მსგავსი გმირობის უნარი, გვაქვს რა შეგნებული აგრეთვე ის პასუხისმგებლობა, რომელიც ვიკისრეთ ჩვენ ყველამ, ვინც ვიბრძვით ერთი და იმავე ნაციონალური და მსოფლიო საქმისათვის, წავალთ წინ რწმენითა და სულით მტკიცენი! მიღწეული წარმატება წარმოადგენს საუცხოო სტიმულს იმისათვის, რომ ჩვენი ერთიანობა განვამტკიცოთ და გამოსავალ პუნქტად ვიქონიოთ იმ მიღწევებისათვის, რომლებიც ისევე, როგორც დღევანდელნი, ზეიმით აღავსებენ მთელ ესპანელ ხალხს“.

რესპუბლიკელთა არმიასა და მთავრობას ტერუელის აღების გამო მილოცვით მიჰმართეს აგრეთვე კატალონიის გაერთიანებულმა სოციალისტურმა პარტიამ, კატალონიის მუშათა საყოველთაო კავშირმა და მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა.

უცხოეთის ქრონიკა

— 19 დეკემბერს თეატრ „ოლიმპიაში“ (ბარსელონა) გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

— 20 დეკემბერს ლოძში (პოლონეთი) იფეთქა ტრამვაის მუშათა და მოსამსახურეთა გაფიცვამ. გაფიცვის მიზეზია ტრამვაის დირექციის მიერ მუშათა წარდგენილი მოთხოვნების უარყოფა.

— საფრანგეთში აღმოჩენილ ფაშისტური შეთქმულებების გამოძიების საქმე, როგორც ეტყობა, კვლავ მინელდა.

— პერემიშლში (პოლონეთი, ლვოვის სავოევოდო) საოლქო სასამართლომ გლეხური პარტიის „სტრონიცტვო ლიუდოვეს“ ადგილობრივი ორგანიზაციის 9 ხელმძღვანელს იაროსლავის მაზრაში მიუსაჯა პატიმრობა 8 თვიდან 3½ წლამდე. მათ ბრალდებოდათ აქტიური მონაწილეობა გლეხთა აგვისტოს გაფიცვაში.

— ჰონკონგიდან იუწყებიან, რომ 18 დეკემბერს იაპონელმა ჯარისკაცებმა ძალით გაიტანეს ტელეგრაფის აპარატები ჩინეთის ტელეგრაფიდან, რომელიც შანხაის საერთაშორისო სეტლმენტის ტერიტორიაზეა.

— იაპონიის ჯარების სარდალმა ჩრდილო-ჩინეთში, გენერალმა ტერაუციმ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც მოუწოდებს ჩინეთის მოსახლეობას დაემორჩილოს „ჩინეთის ახალ მთავრობას“, რომელიც პეიპინში შეიქმნა.

— მუშათა შვილები პოლონეთში უმწეო მდგომარეობაში არიან. იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც სკოლაში მშიერი მიდიან, უდრის ვარშავაში 36 პროცენტს, ზემო-სილეზიაში — 27-ს, პომორიეში — 19-ს, პოზნანში — 15-ს, ლოძის სავოევოდოში — 14-ს, ვილენშჩინაში — 13-ს, კრაკოვის სავოევოდოში — 12-ს და პოლესიეში — 11 პროცენტს.

— როგორც გაზეთი „კოკუმინი“ იუწყება, იაპონიაში შენდება წყალქვეშა გვირაბი მოძისა და სიმონოსეკს შუა, რომელიც შეაერთებს კიუსიუს და ხონსიუს კუნძულებს.

— საფრანგეთში კვლავ გრძელდება მეწარმეთა შეტევა ხელფასისა და მუშაობის იმ პირობების წინააღმდეგ, რომლებიც გათვალისწინებულია კოლექტიური ხელშეკრულებებით, ეს იწვევს წინააღმდეგობას საფრანგეთის პროფკავშირული ორგანიზაციების მხრით. ფეიქართა, მელითონეთა, მშენებელთა და მთელი რიგი სხვა პროფკავშირები მოთხოვნებს უყენებენ მეწარმეებს ხელფასის გადიდებისა და კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შესახებ.

შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

22 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა დოც. გ. კიკნაძემ.

საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სესიის პირველ სხდომაზე რუსთველოლოგმა პროფ. კ. კეკელიძემ წაიკითხა მოხსენება „რუსთაველის ეპოქა“. მომხსენებელი ვრცლად შეეხო რუსთაველის ეპოქის კულტურულ ვითარებას. დაახასიათა ის ორი მთავარი კულტურული ნაკადი (დასავლურ-ბიზანტიური და აღმოსავლურ - ირანული), რომელიც ჰკვებავდა ქართულ კულტურულ სინამდვილეს რუსთაველის ეპოქაში. აღნიშნა აგრეთვე ის წვლილიც, რომელიც მაშინდელმა საქართველომ შეიტანა საკაცობრიო კულტურის სალაროში.

რუსთაველსა და მის ვეფხის-ტყაოსანზე, ვრცელი მოხსენება წაიკითხა პროფ. ი. აბულაძემ, რომელმაც წარმოადგინა „ვეფხის-ტყაოსნის“ მხატვრულ-ლიტერატურული დახასიათება, ილაპარაკა რუსთაველზე, როგორც აფორიზმებისა და მხატვრული მეტაფორების უდიდეს ოსტატზე.

პროფ. შ. ნუცუბიძემ ფართოდ გაარკვია რუსთაველის მსოფლმხედველობა. მან რუსთაველის მსოფლმხედველობა დაუკავშირა იოანე პეტრიწონელის ფილოსოფიურ აზროვნებას. მისი აზრით, რუსთაველი არ გაჰყვა არც ნეოპლატონიზმს და არც აღმოსავლურ სუფიზმს.

საინტერესო მოხსენება წაიკითხა აგრეთვე პროფ. ვუკ. ბერიძემ—„შოთა რუსთაველი პოეტი-თეორეტიკოსი“. მომხსენებლის აზრით, გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებთან ერთად შოთა რუსთაველმა მოგვცა პოეზიის თეორიის კარდინალური პრობლემები: პოეტური ნაწარმოების სახეები, ლექსის იდეური განსაზღვრულობა და საზოგადოდ პოეზიის დანიშნულება. მისი აზრით, რუსთაველმა მოგვცა პოეზიის უტილიტარული განსაზღვრა ამ სიტყვის სწორი გაგებით.

23 დეკემბერს, სესიის მეორე დღეს, საინტერესო მოხსენება გააკეთა პ. ინგოროყვამ „ვეფხის-ტყაოსანზე“ ადრინდელი ნაწარმოებნი შოთა რუსთაველისა“. მომხსენებელმა ფაქტიურ მასალებზე დაყრდნობით განავითარა ის აზრი, რომ შოთა რუსთაველს „ვეფხის-ტყაოსანზე“ ადრე დაწერილი ჰქონია ეპიკური ჟანრის ორი ნაწარმოები: „იოსებ მშვენიერი“ და „ქებანი“. პირველ ნაწარმოებს ფრაგმენტების, „ნარჩომის“ სახით მოუღწევია XVI საუკუნემდის. ამ ნაწარმოებს „იოსებ ზილიხანიანში“ იხსენიებს XVI საუკუნის ერთერთი პოეტი, ხოლო რა ბედი ეწია მეორე ნაწარმოებს, ეს ჯერაც გაურკვეველია.

პროფ. ალ. ბარამიძემ თავის მოხსენებაში „ვეფხის-ტყაოსნის“ მთავარი გმირი ტარიელი დაახასიათა როგორც გონიერი, „ბრძნად მოუბარი“, „სიტყვამჭევრი“ და სრულყოფილი რაინდი.

საინტერესო მოხსენება გააკეთა აგრეთვე დოც. ს. იორდანიშვილმა—„ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმანი უცხო ენებზე“. მან გაარკვია „ვეფხის-ტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე პირველი მთარგმნელის ბროსეს, ამავე პოემის პოლონურ ენაზე პროზაული მთარგმნელის კაზიმირ ლაპჩინსკის, გერმანულზე—ლაისტისა და სხვათა მიერ შესრულებული თარგმანების ღირსება-ნაკლოვანებანი.

დოც. ტრ. რუხაძისა და პ. ბერაძის მოხსენებების შემდეგ 23 დეკემბერს, ღამის 11 საათზე, რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია დაიხურა.

შ. რუსთაველის იუბილე

რუსთაველისა და მისი გმირების სურათები

ლენინგრადი, (საკ. კორ.) ლენინგრადში იმყოფება მხატვარი ს. ქობულაძე. ერმიტაჟის შეკვეთით ის შეუდგა მუშაობას უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის პორტრეტზე. პორტრეტი წარმოდგენილი იქნება საიუბილეო გამოფენაზე, რომელიც იანვარში გაიხსნება.

— „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირთა სახეებზე,—განაცხადა საუბარში ს. ქობულაძემ, — მე წელიწადნახევარზე მეტია ვმუშაობ. დავხატე 11 სურათი, რომლებიც პოემის ცალკეულ ეპიზოდებს გამოხატავენ. ისინი წარმოდგენილი იყვნენ ქართული ხელოვნების გამოფენაზე მოსკოვში; ამჟამად ეს სურათები ლენინგრადშია და ამ დღეებში გაიგზავნება თბილისში საიუბილეო გამოფენაზე. შემდეგ ისინი ნაჩვენები იქნება საიუბილეო გამოფენაზე ერმიტაჟში.

რუსთაველის ახალ პორტრეტზე მუშაობამ ძალიან გამიტაცა. ვფიქრობ, პოეტი ვუჩვენო XII საუკუნის კოსტუმში, ეპოქის დამახასიათებელი საგნების გარემოცვაში. მუშაობაში დიდ დახმარებას მიწევს ერმიტაჟი თავისი კოლექციებით.

ბიბლიოთეკებში

საქართველოს დედაქალაქი ენერგიულად ემზადება რუსთაველის იუბილეისათვის. თბილისის ბიბლიოთეკებიც არ ჩამორჩებიან საერთო სამზადისს.

ამ მხრივ სანიმუშოა ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკა, რომლის სამეცადინო და სამკითხველო დარბაზები ხალხს ველარ იტევს. აქვე არსებობს ლიტერატურული წრეები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე, სადაც ეცნობიან შოთა რუსთაველის გენიალურ ქმნილებას.

გამოსავლელ დღეებში ბიბლიოთეკა ატარებს ლექციებს რუსთაველის ეპოქის ფილოსოფიური აზროვნების, მწერლობისა და შემოქმედების თემებზე.

ბიბლიოთეკა მარტო ამით არ დაკმაყოფილდა, მან ლექციები გადაიტანა ბიბლიოთეკის გარეთაც საწარმოებში („მკერავი“ № 1, თამბაქოს ქარხანა, ტრამვაი, კალინინის სახელობის ქარხანა).

ბიბლიოთეკის კედლებს ამშვენებს „ვეფხის-ტყაოსნიდან“ ამოღებული მხატვრულად გაფორმებული ილუსტრაციები, პლაკატები, აფორიზმები. ბიბლიოთეკის ერთი დარბაზი დათმობილი აქვს რუსთაველის შემოქმედებისა და ცხოვრების ამსახველი ლიტერატურის გამოფენას, აქვეა სარეკომენდაციო სიები და კითხვის გეგმები.

ზემოთ დასახელებულ მუშაობის გარდა ბიბლიოთეკამ აიღო ინიციატივა გამოეცა შ. რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების გარშემო არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული საძიებელი და კითხვის გეგმა, რაც საშუალებას მისცემს მკითხველს ღრმად გაეცნოს ამ შესანიშნავ ლიტერატურულ ძეგლს. ამ დღეებში ქართველი და რუსი მკითხველები მიიღებენ ახალ დამხმარე ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს და კითხვის გეგმებს.

შ. ასათიანი

შოთა რუსთაველის შესანიშნავი პორტრეტი

ფოტოგრაფმა ე. ქვანიამ აღმოაჩინა შოთა რუსთაველის იშვიათი სურათი, გააკეთა ამ სურათის მონტაჟი და მიიღო გენიალური პოეტის შესანიშნავი პორტრეტი.

სურათი გადაღებულია ქაჯეთის ციხის ფონზე, როდესაც ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი თავიანთი ჯარით მიდიან ციხეზე საიერიშოდ.

სურათს დართული აქვს რუსთაველის ცნობილი აფორიზმები:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე,
ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი,
არას მქონები“.

სურათის ზომაა: 150 სანტიმეტრი 75 სანტიმეტრზე. იგი გამოფენილია ვიტრინაში და დიდ ინტერესს იწვევს მნახველთა შორის.

ეს სურათი შეიძინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აფხაზეთის შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტებმა. გარდა ამისა ფოტოგრაფი ქვანია ღებულობს მთელ რიგ დაკვეთებს სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან შოთა რუსთაველის ამ შესანიშნავ პორტრეტზე.

ლენრაიონის საბავშვო ტექნიკური სადგური ემზადება საახალწლო ნაძვისხისათვის სურათზე: მე-36 სკოლის მოწაფეები ელენე ბათმანოვა და ვერა კუჯაშვილი ამზადებენ ნაძვისხის მორთულობას.
ფოტო სტოლიაროვისა და რიშკოვისა. („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ფეხბურთი

მოსკოვის [illegible]

18 დეკემბერს სოხუმში ჩატარდა საინტერესო შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ სოჭისა და სოხუმის „დინამოს“ გუნდები. სოჭის „დინამოში“ შედიოდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის — მოსკოვის „დინამოს“ გუნდის ექვსი ოსტატი: ს. ილინი, კორჩებოკოვი, სმირნოვი, სემიჩასტნი, ტეტერინი და კაჩალინი, რომლებიც ამჟამად სოჭში ისვენებენ.

სოხუმის გუნდმა, რომელშიაც შედიოდნენ მეკარე ისპირიანი, მცველები—კ. არჩაია და ირ. არჩაია, ნახევარმცველები — რატიანი, ჭოლოკიანი და ვარდიმიადი, თავდამსხმელები — გუგუშვილი, ქვანია, ვ. არჩაია, ბატმანიდი და კორსანტია, ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია ჩემპიონებს და შეხვედრა წააგო უმნიშვნელო ანგარიშით 3:2.

სოხუმელების მხრივ კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ვ. რატიანი, კ. არჩაია, ბატმანიდი, კორსანტია და მეკარე ისპირიანი, რომელმაც სმირნოვის მიერ დარტყმული მრავალი „მკვდარი“ ბურთი აიღო.

○

დღეს, 24 დეკემბერს, „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება „ლოკომოტივისა“ (დეპო) და „ტემპის“ ამხანაგური შეხვედრა. დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე.

შემთხვევები

ქუჩაში მოძრაობის მსხვერპლი. 22 დეკემბერს, დღისით, პუშკინის ქუჩაზე № 5 მარშრუტის ტრამვაი, რომელსაც მართავდა ვატმანი ს. ა. გრიგორიანი, დაეჯახა ქუჩაში გადამავალ ნ. ი. ყავრიშვილს (მერკვილაძის ქუჩა № 35). ყავრიშვილს ტრამვაიმ ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული საავადმყოფოში მოათავსეს.

ამავე დღეს საბჭოს ქუჩაზე სატვირთო ავტომანქანა № 36—51, რომელსაც მართავდა შოფერი ა. ნ. ბენაშვილი დაეჯახა მოქ. ვ. კ. პაიჭაძეს (საბჭოს ქ. № 25) და მძიმედ დაშავა. პაიჭაძე მოათავსეს საავადმყოფოში, სადაც მალე გარდაიცვალა. დამნაშავენი მიცემული არიან პასუხისგებაში. სწარმოებს გამოძიება.

ავარია. 18 დეკემბერს, საღამოს, თიანეთიდან თბილისში მოემგზავრებოდა ავტომანქანა № 26—13, რომელსაც მართავდა შოფერი კ. ქ. ფარაჯაული. მანქანა მოდიოდა ძლიერი სისწრაფით, რის შედეგადაც თბილისიდან 4 კილომეტრის დაშორებით იგი გადაბრუნდა. ავარიის დროს დაშავდა სამი მგზავრი და შოფერი. დაშავებულთ აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება. სწარმოებს გამოძიება.

პარტკალენდარი

25 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის პარტაქტივისათვის რუსულ ენაზე შესდგება მოხსენება თემაზე: „იაპონია-ჩინეთის ომი“.

○

25 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში რუსულ და ქართულ ენებზე შესდგება პროპსემინარის მეცადინეობა. პროპაგანდისტთა დასწრება სავალდებულოა.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი
ქ. შეროზია

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

24/XII	მუდმ. ადგ. ტალ. № 55 ვრუბადური
25/XII	მუდმ. ადგ. ტალონი № 56 სიმფონიური კონცერტი დირიჟორი ნ. რაბინოვიჩი
26/XII	მუდმ. ადგ. ტალ. № 57 კარმენ

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

სახცირკი. ტელ. 3-11-44
დღეს, 24 დეკემბერს,
სამი წარმოდგენა
ორიგდლისით — დასაწყ. პირველისა 12 ს. და მეორისა — 2 ს. 30 წ.
მრავალფეროვანი პროგრამა.
საღამოს — დასაწყ. 8 ს. 30 წ.
დიდი პროგრამა 3 განყ.
მონაწილეობენ საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატები.
სალარო ღიაა დილის 10 საათიდან.
25 დეკ. უდიდესი ატრაქციონი კიო-ჯაზი.

კიროვის რაიონში გახსნილ ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებლის გამოსამზადებელ და საექსტერნო კურსებზე
გრძელდება განცხადებების მიღება ყოველდღე, დილის 10 საათიდან 1 საათამდე, საღ. 5-დან 9 საათამდე. მე-28 საშ. სკ. შენობაში. ბებელის მოედანი, № 3.
17516 კურსების დირექცია.

მშობლები ვალია და გუგული ოდიშარიები, მამიდები: ელენე, პაშა, ნადია, თამარ, გოგუცა, ბიძია გერასიმე მახარაძე მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარი პატარა
თამაზიკო ოდიშარიას
დაკარგვას. დაკრძალვა 24 დეკემბერს დღის 1 საათზე. ბელინსკის ქ. № 2.

საქფილარმონიის ესტრადის სახელმწიფო თეატრი
პლეხანოვის პროსპექტი, № 123, ტელეფონი 3-02-29
თეატრის შემადგენლობა
კოლექტივები.
დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო გუნდი
კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით.
სახელმწიფო კაპელა ხელოვნებ. დამსახ. მოღვაწის
მ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით.
აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო გუნდი ხელოვნების დამსახ. მოღვაწის
სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით.
მეჩონგურეთა ანსამბლი
ა. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით.
გუნდი ხელოვნების დამსახ. მოღვაწის
მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით.
ქორეოგრაფიული ანსამბლები
ჯაზ-ორკესტრი ს. გაბოვის ხელმძღვანელობით.
ესტრადის არტისტები.
რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწ. თეატრისა.
ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრისა.
მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრისა.
გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრისა.
საქფილარმონიის ესტრადის სახელმწ. თეატრისა.
მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრისა.
სახელმწიფო ცირკისა.
ლიტერატურული საღამოები საქართველოს სსრ საბჭოთა მწერლების კავშირისა და მხატვრული სიტყვის ოსტატებისა.
ესტრადის საღამოები მოძმე მეზობელი რესპუბლიკებისა.
სსრ კავშირის ქალაქების ესტრადის არტისტთა გასტროლები
მუდმივი ადგილები ძალაშია ესტრადის თეატრის ყველა სახის სანახაობაზე.
მუდმივი ადგილების ტალონების მისაღებად სავალდებულოა პირველი გადასახდელის შეტანა.
მუდმივი ადგილების ტალონების გაცემა იწარმოებს 27 დეკემბრიდან.
17517

დღეს სახკინოთეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	დიდი ხმ. მხატვრ. ფილმი ლენინი ოქტომბერში დასაწყისი 6-40
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ხმოვანი ფილმი უმზითვო დასაწყ. 6-30
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	დიდი ხმ. მხატვრ. ფილმი ლენინი ოქტომბერში დასაწყ. 6 ს.
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ხმოვანი ფილმი კარო დასაწყისი 6-30
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	ხმოვანი კომედია ქალიშვილი პაემანზე მიიჩქარის დასაწყ. 6-30
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	ხმოვანი ფილმი უშიშარნი დასაწყ. 6-30
არხენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი ოქროს ტაიგა დასაწყ 6-30
ახალი ამბები	ხმოვანი კინო-ნარკვევი მოსკოვი დასაწყისი 6-30

თანახმად საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ნებართვისა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,
რომ თბილისის სახ. უნივერსიტეტის 1935/36, 1936/37 სასწავლო წლებში კურსდამთავრებულთათვის და ამავე უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სალიკვიდაციო მეხუთე კურსელებისათვის სახელმწიფო გამოცდები დანიშნულია 1938 წ. 15 თებერვლიდან.
მსურველები რეგისტრაციაში უნდა გატარდნენ 10 იანვრამდე.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი კიკნაძე.
1341 2-2

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა
„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა 1938 წლისათვის
გაზ. „კომუნისტი“
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის, თბილისის კ-ის და საქ. ცაკ-ის ორგანო

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
30 მან.	15 მან.	7 მ. 50 კ.	2 მ. 50 კ.

ყოველთვიურ ჟურნალებზე
„ბოლშევიკი“
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
6 მ.	3 მ.	1 მ. 50 კ.	50 კ.

„ახალგაზრდა ბოლშევიკი“
საქ. ალკკ ც. კ-ის და თბ. კომიტეტის ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
6 მ.	3 მ.	1 მ. 50 კ.	50 კ.

„მშრომელი ქალი“
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ორგანო.

12 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
4 მ. 80 კ.	2 მ. 40 კ.	1 მ. 20 კ.	40 კ.

ხელმოწერა უნდა ჩაბარდეს „სოიუზპეჩატს“, ფოსტას, წერილდამტარებლებს, ხელმოწერის შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში, პოლიტგანყოფილებათა გაზეთების გამომცემლობებს ტრანსპორტზე. ხელმოწერის ქვითრებსა და ფურცლებში შეამოწმეთ, სწორად და ზუსტად არის თუ არა აღნიშნული მისამართი, გვარი ინიციალებით და ხელმოწერის ვადები.
ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა ჩააბარეთ თავის დროზე, ნუ გადასდებთ თვის უკანასკნელი დღეებისათვის.
ხელმოწერის ჩაბარების უკანასკნელი ვადაა თბილისისათვის 27 რიცხვამდე ჩათვლით, პროვინციაში—ადგილებზე დაწესებულ ვადებში.
3—2

მისამართი: რედაქციის—თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34 ტელეფონები: სამდივნოსი: 3—’—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40.
მუშრიბმელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—16538